გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№55 (1081) 20 - 21 მაისი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

ექსკლუზიური ინტერვიუ ჯანდაცვის მინისტრის მოადგილესთან

გვ. 3

გაიოზ თალაკვაძე:
საპენსიო რეფორმა მაღე გაფარდება, დაგროვებით პენსიაზე გადავალთ

ექსკლუზიური ინტერვიუ სოფიკო ლოლაშვილის საქმის ავსტრიელ გამოძიებელთან

Die letzte Spur von Sopiko führt ins idyllische Grein (OÖ).

Sopiko Lolashvili ist seit 29. April spurlos verschwunden.

ავსტრიაში გაუჩინარებული ქართველი გოგონას გარდაცვალების იდუმალებითმოცული დეტალები

რატომ არ ასაჯაროებს ირმა ინაშვილი ნაციონალების მამხილებელ სიას

პატრიოტთა აღიანსის გენერალური მდივანი NDI-სა და IRI-ს წინაალმდეგ კამპანიას იწყებს

გვ. 4

ნაციონალები ვადამდელი არჩევნებისთვის ემზადებიან

„არ მსურს, პარლამენტარი მერქვას, როცა ვერაფერს ვცვლი“

გვ. 5

კლინტონების კლანის კორუფციული გარიგებები და გამდიდრების სქემა

გვ. 9

რა მაკომპრომეტირებელი მასალები გაუვრცელეს ჰილარი კლინტონს და როგორ ფინანსდება პრეზიდენტობის კანდიდატის საქველმოქმედო ფონდი

შურისძიება ღალატისთვის

გვ. 6

პატიმრის ცხელი ხაზი

როგორ აუბედურებენ ციხიდან გასული პატიმრები ყოფილ შეყვარებულებს

„11 კათხის“ დირექტორი „დინამო არენის“ ხელმძღვანელობის წინააღმდეგ

გვ. 7

დავით ცრაპაიძე რომან ფიფიას კომპანიას ხელშეკრულების უსაფუძვლო დარღვევაში ადანაშაულებს და მათი საქმიანობის შესწავლას ითხოვს

შსს-მ სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით ერთი პირი დააკავა

შსს-ს დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს პირველი განყოფილების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1967 წელს დაბადებული დავით ნ. სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით დააკავეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა დიღმის მასივში, გვიან ღამით, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, გულმკერდის არეში ცივი იარაღით დაჭრა 1976 წელს დაბადებული გიორგი ს. და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი მოქალაქე სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ რკინიგზის ცენტრალურ საავადმყოფოში გადაიყვანა, სადაც მას გადაუდებელი ოპერაცია ჩაუტარდა. ამ დროისთვის გიორგი ს-ს ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. გამოძიება სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 117-ე მუხლით). გამოძიებას დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს I განყოფილება აწარმოებს.

„ვერსიანიუსი“

საქართველო-ავსტრიას შორის თანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმდა

თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება, საქართველოში ავსტრიის პრეზიდენტის ოფიციალური ვიზიტის ერთ-ერთი დადებითი შედეგია.

საქართველოსა და ავსტრიის მთავრობებს შორის რამდენიმე სფეროში თანამშრომლობის ახალი ეტაპი იწყება.

ტექნოლოგიების სფეროს თანამედროვე და ეფექტურ ადმინისტრირებაში, ინფრასტრუქტურის ტექნოლოგიების, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სფეროში ურთიერთგაგების მემორანდუმებს ხელი პრემიერ-მინისტრისა და ავსტრიის პრეზიდენტის შეხვედრის შემდეგ მოეწერა.

ხელმოწერის ცერემონიას მთავრობის ადმინისტრაციაში ირაკლი ღარიბაშვილი და ჰაინც ფიშერი დაესწრნენ.

ავსტრიელი პარტნიორები საქართველოს ინფრასტრუქტურული ტექნოლოგიების განვითარებაში დაეხმარებიან. მთავრობებს შორის გაფორმებული მემორანდუმი ითვალისწინებს თანამშრომლობას ნარჩენების მართვის, საგზაო ინფრასტრუქტურისა და წყალმომარაგების ტექნოლოგიების დარგში. მემორანდუმის ფარგლებში დაგეგმილია არსებული ტექნიკის მოვლა-შენახვა და მოდერნიზება, ტექნიკური დახმარება ექსპერტების, სპეციალისტებისა და მაღალკვალიფიციური ტექნიკოსების მიერ, შესაბამის სფეროებში ტრენინგების ჩატარება სხვადასხვა რგოლის მენეჯმენტის და სხვადასხვა პროფესიის სპეციალისტებისთვის.

მემორანდუმით განსაზღვრული თანამშრომლობის სფეროში მოხდება ინვესტიციების ხელშეწყობა, ორივე ქვეყანაში დაინტერესებული კომპანიების პარტნიორულ საქმიანობაში მხარდაჭერა და ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის განვითარების მხარდაჭერა.

მხარეები ასევე ხელს შეუწყობენ სურსათისა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს, ფერმერებს, ფერმერულ ჯგუფებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობას სოფლის მეურნეობის სფეროში.

გარემოს დაცვის სფეროში თანამშრომლობის პრიორიტეტულ მიმართულებებად, საქართველოსა და ავსტრიის მთავრობების მიერ, ბიომრავალფეროვნების დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება; ეროვნული პარკებისა და დაცული ტერიტორიების მდგრადი მართვა; მდგრადი სატყეო მეურნეობა; კლიმატის ცვლილება, ენერგოეფექტურობა, განახლებადი ენერგიის წყაროები და ტექნოლოგიები; ჰაერის ხარისხი, ჰაერის დაბინძურების მონიტორინგი; წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვა; ნარჩენების მდგრადი მართვა, საწარმოო და სახიფათო ნარჩენების ჩათვლით; გარემოს მონიტორინგი, ინფორმაციის მოძიება და ანგარიშების წარდგენა; ბუნებრივი საფრთხეებისა და რისკების მართვა განისაზღვრა.

თანამედროვე ტექნოლოგიების და ახალი ტექნიკური საშუალებების შესახებ ინფორმაციის გაცვლას, მემორანდუმით განსაზღვრული თანამშრომლობის სფეროში ინვესტიციების ხელშეწყობას, ორივე ქვეყანაში დაინტერესებული კომპანიების პარტნიორულ საქმიანობაში მხარდაჭერას, მემორანდუმით განსაზღვრული თანამშრომლობის სფეროში სწავლების და საგანმანათლებლო საკითხებს, ადამიანური რესურსების განვითარებას ელექტრონული განათლების სისტემის გამოყენებით, დატა ცენტრების/კლაუდ კომპიუტერული საშუალებების განვითარების ხელშეწყობას, IT მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობას, თანამშრომლობის სფეროების ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის განვითარების ხელშეწყობას...

თანამშრომლობის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმი გაფორმდა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და ავსტრიის სოფლის მეურნეობის, ტყეების, გარემოსა და წყლის მენეჯმენტის ფედერალურ სამინისტროს შორის; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ავსტრიის ტრანსპორტის, ინოვაციებისა და ტექნოლოგიის ფედერალურ სამინისტროს შორის; საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და ავსტრიის ტრანსპორტის, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ფედერალურ სამინისტროს შორის; საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ავსტრიის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, მეტყევეობის, გარემოსა და წყლის მართვის ფედერალურ სამინისტროს შორის.

ავსტრიის პრეზიდენტი ქართველ კოლეგასაც შეხვდა. ერთობლივ პრესკონფერენციაზე, ჰაინც ფიშერმა, გიორგი მარგველაშვილს, მოწვევისთვის მადლობაც გადაუხადა და საქართველო-ავსტრიის ურთიერთობებზეც ისაუბრა: **„ეს მოწვევა ვენაში შეხვედრიდან რამდენიმე კვირაში შედგა. პრაქტიკულად, ბოლო 6 თვეში მეორედ შევხვდით, ეს ადასტურებს, რომ ერთმანეთთან ბევრი გვაქვს სასაუბრო და ორივე მხარე მოწადინებულია, რეალურად გადადგას კონკრეტული ნაბიჯები. გულწრფელად უნდა ვთქვა, ჩვენი ეკონომიკური თანამშრომლობა ძალიან დაბალ დონეზე დაიწყო, მაგრამ ახლა ნამდვილად გვაქვს პრეტენზია, სერიოზულად, ყოველწლიურად განვავითაროთ ურთიერთოებები“.**

ავსტრიის პრეზიდენტმა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების მნიშვნელობაზეც ისაუბრა: **„მხარს ვუჭერთ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას. ეს არის გონივრული ღონისძიება. ჩვენი პოზიცია ცალსახა და მკაფიოა, რომ ასეთი ტიპის ასოცირების შეთანხმება აახლოებს სახელმწიფოებს, მათ ეკონომიკურ მდგომარეობას და არამც და არამც არაა მიმართული რომელიმე მესამე სახელმწიფოს წინააღმდეგ“.**

ავსტრიის პრეზიდენტს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ საპატრიარქოში უმასპინძლა. პატრიარქის თქმით, ეს ვიზიტი, საქართველო-ავსტრიას შორის ახალი ურთიერთობების დასაწყისი იქნება.

„ვერსიანიუსი“

რიგის სამიტზე საქართველოს დელეგაციას ირაკლი ღარიბაშვილი უხელმძღვანელებს

საგარეო საქმეთა სამინისტროს სპიკერის დავით კერესელიძის ინფორმაციით, 21-22 მაისს, რიგაში აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების სამიტზე საქართველოს დელეგაციას პრემიერ მინისტრი უხელმძღვანელებს.

დავით კერესელიძის ინფორმაციით, რიგაში ასევე გაემგზავრება საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელიც ევროკავშირის უმაღლეს პოლიტიკურ პირებთან შეხვედრებს გამართავს: **„21-22 მაისს რიგა უმასპინძლებს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების სამიტს. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ სამიტზე საქართველოს დელეგაციას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი უხელმძღვანელებს. ასევე დელეგაციის შემადგენლობაში იქნებიან სხვა პირებიც, მათ შორის, საგარეო საქმეთა მინისტრი თამარ ბერუჩაშვილი. დაგეგმილია ორმხრივი შეხვედრები ევროკავშირის ინსტიტუციების და ევროკავშირის უმაღლეს პოლიტიკურ პირებთან. რიგის სამიტზე, საგარეო საქმეთა მინისტრი თამარ ბერუჩაშვილი მონაწილეობას მიიღებს აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების კონფერენციაში. ამ სამიტამდე რამდენიმე დღე დარჩა. რა თქმა უნდა, მოლოდინი კარგია და გვინდა, რომ ეს სამიტი ჩვენთვის დადებითი იყოს“.**

„პირველი“

საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა დამოუკიდებლობის დღისთვის მზადება დაიწყეს

26 მაისს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ სამხედრო-საზეიმო ღონისძიებებში ავიაციაც იქნება ჩართული, ღონისძიებებთან დაკავშირებით კი თბილისში 19, 20 და 25 მაისს რეპეტიციები ჩატარდება.

ღონისძიებებისათვის მზადების ფარგლებში, 19 მაისს 12:00-დან 14:00 საათამდე 1 ერთეული „იროკეზის“ ტიპის შვეულმფრენი, თავისუფლების მოედნიდან, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის გავლით, თბილისის ზღვის მიმართულებით სავარჯიშო ფრენას განახორციელებს.

20 მაისს 13:00-დან 15:00 საათამდე „იროკეზის“ ტიპის შვეულმფრენი და L-39 ტიპის თვითმფრინავი „ალბატროსი“, თავისუფლების მოედნიდან მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის გავლით, გლდანის რაიონის მიმართულებით საკოორდინაციო შემოფრენას შეასრულებენ.

25 მაისს კი ავიაციის მონაწილეობით 12:45-დან 14:30 საათამდე გენერალური რეპეტიცია იგეგმება. 3 ერთეული „იროკეზის“ ტიპის შვეულმფრენი, 3 ერთეული L-39 ტიპის თვითმფრინავი „ალბატროსი“ და 3 ერთეული SU-25 ტიპის თვითმფრინავი „მიმინო“, დედაქალაქის თავზე თავისუფლების მოედნიდან, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონისა და გლდანის რაიონის გავლით, თბილისის ზღვის მიმართულებით გადაიფრენენ.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ფიცის მიღების ცერემონიალთან დაკავშირებით, ასევე თავისუფლების მოედანზე დაგეგმილია რეპეტიციები. 23 მაისს 06:00 საათზე გადაიკეტება თავისუფლების მოედანი და მისი მიმდებარე ტერიტორია. რეპეტიცია დაახლოებით 12:00 საათამდე გაგრძელდება.

25 მაისს გენერალური რეპეტიცია 11:00 საათიდან, სავარაუდოდ, 18:00 საათამდე იგეგმება. თავისუფლების მოედანსა და რუსთაველის გამზირზე ტრანსპორტის მოძრაობა 26 მაისს ღონისძიებების დასრულებამდე შეიზღუდება.

„პირველი“

„აბუ-დაბიში საქართველოს საელჩო, დუბაიში კი გენერალური საკონსულო გაიხსნება“

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, არაბეთის გაერთიანებული საამიროების დელეგაციის ვიზიტი იმის დასტურია, რომ საქართველოს მიმართ ინტერესი იზრდება.

პრემიერის თქმით იმის გამო, რომ საქართველოს მიმართ დაინტერესება იზრდება საქართველომ აბუ დაბიში საელჩოს გახსნა გადაწყვიტა: **„არაბეთის გაერთიანებული საამიროების დელეგაციის საქართველოში ვიზიტი ძალიან მნიშვნელოვანია. ეს დადასტურებაა იმის, რომ ჩვენი ქვეყნის მიმართ არაბეთის გაერთიანებული საამიროებიდან ინტერესი იზრდება. სწორედ ამიტომ, გადავწყვიტეთ, აბუ-დაბიში გავხსნათ საელჩო, დუბაიში კი გენერალური საკონსულო. მინდა კმაყოფილებით აღვნიშნო, რომ არაბეთის გაერთიანებული საამიროებიდან ინვესტიციების მოცულობამ უკვე 700 მილიონი დოლარი შეადგინა. შარშან ჩვენს შორის სავაჭრო ბრუნვაც გაიზარდა და მთლიანობაში დაახლოებით 220 მილიონ დოლარს მიაღწია. დუბაი ჩვენთვის მართლაც სამაგალითო ქალაქია. არაბეთის გაერთიანებული საამირიოები მართლაც სამაგალითო ქვეყანაა. ბევრი რამის გაკეთება შეგვიძლია ერთად. ჩვენ ვისაუბრეთ იმ შესაძლებლობებზე, რომელიც არსებობს ჩვენს ქვეყნებს შორის. გვაქვს უნიკალური ადგილები სადაც შეიძლება განვითარდეს ტურიზმი. ასევე, წყლის რესურსების მიმართ არის ინტერესი. დღევანდელი ბიზნესფორუმი კარგი პლატფორმაა იმისთვის, რომ ქართველმა და არაბმა ინვესტორებმა ერთმანეთთან ურთიერთობები დაამყარონ, განავითარონ და ისაუბრონ ბიზნესპოტენციალზე“.**

„პირველი“

გაიოზ თალაკვაძე: „დიახ, წამლები გაძვირდა, მაგრამ ამას კატასტროფული შედეგი არ მოჰყოლია“

მაია მიშელაძე
593-51-90-12

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი „იბიარდი“, ინფექციური საავადმყოფოს ტერიტორიაზე ახალი კლინიკის მშენებლობას გეგმავს. „იბიარდის“ ყოველწლიური ბიზნესფორუმის ფარგლებში, რომელიც თბილისში 13-15 მაისს გაიმართა, პირველ მსხვილ ინვესტიციას ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი განახორციელებს. „იბიარდმა“ კომპანია „ავერსი ფარმას“ 10 900 000 აშშ დოლარის სესხი გამოუყო, რომელიც მოხმარდება 135-საწოლიანი, ინფექციური დაავადებების საავადმყოფოს რეკონსტრუქციას თბილისში და 84-საწოლიანი, პედიატრიული და სამშობიარო მიმართულების საავადმყოფოს მშენებლობას მარნეულში. ესაა რეალური შედეგი, რაც ამ ბიზნესფორუმს ჯანდაცვის სფეროში მოჰყვა. ლარის 31%-იანი დევალვაციის ფონზე, ეროვნული ვალუტის გამყარების ერთ-ერთი ინსტრუმენტი ინვესტიციების ზრდაა. არადა, ლარის კურსის ცვლილებას მძიმე სოციალური და ეკონომიკური შედეგი მოჰყვა — მოსახლეობას ცხოვრება დაუმძიმდა, პროდუქტი და მედიკამენტები გაძვირდა. რა ვითარებაა ქვეყანაში, გაიზარდა თუ არა უმუშევართა რიცხვი და რას აკეთებს სახელმწიფო სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად? „ვერსიას“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე გაიოზ თალაკვაძე ესაუბრება.

— ბატონო გაიოზ, „იბიარდის“ ბიზნესფორუმზე თუ დაინტერესდნენ ინვესტორები ჯანდაცვის სფეროთი და რა რეალური პროექტები შეიძლება განხორციელდეს ამ მიმართულებით?

— ახალი ინფექციური საავადმყოფოს მშენებლობა იგეგმება. ჯანდაცვის გარდა, ინვესტორები შრომისა და სოციალური მიმართულებებითაც დაინტერესდნენ. ამერიკული კომპანიის ხელმძღვანელი, რომელიც განვითარებადი ბაზრების ჯგუფის ხელმძღვანელია, ასევე ერთ-ერთი შვეიცარული კომპანია და სოციალური პროგრამების განმახორციელებელი საერთაშორისო კომპანია „მოტმაკდონალდი“ დაინტერესდნენ, არის თუ არა მინიმალური ხელფასი ქვეყანაში, მოქმედებს თუ არა შრომითი ინსპექცია... ამ საკითხებზე მთავრობა მუშაობს, კანონების ნაწილი მიღებულია, დანარჩენი მზადდება. იმედია, ამ მიმართულებით ყველაფერი ისე მოწესრიგდება, ინვესტორებს მეტად მოვიზიდავს. „მითი“, თითქოს რაც უფრო დერეგულირებულია ბაზარი, უფრო იზიდავს ინვესტორს, რეალობას არ შეესაბამება, მოხეტიალე ინვესტიციებს ეხება, გრძელვადიან პერსპექტივაში კი, ყველა ინვესტორს რეგულირებული და მოწესრიგებული თამაშის წესები აინტერესებს.

— დამაკმაყოფილებელი იყო თქვენი პასუხები პოტენციური ინვესტორებისთვის?

— რა თქმა უნდა. ჩვენს სამინისტროში შრომის ინსპექციის დეპარტამენტი უკვე შეიქმნა, მალე შრომითი ინსპექტორების კონკურსს გამოვაცხადებთ. თავიდან, კომპანიების შემოწმება ნებაყოფლობითი იქნება — შრომითი ინსპექტორი მხოლოდ იმ კომპანიებს შეამოწმებს, რომლებსაც ამის სურვილი ექნებათ. დამსაქმებელთა ასოციაციამ 50-ზე მეტი კომპანიის სია გადმოგვცა, რომლებიც მზად არიან, პროგრამაში ჩაერთონ.

— სამომავლოდ, კომპანიების შემოწმება სავალდებულო გახდება?

— დრო და გამოცდილება გვიჩვენებს. იმდენ ხანს იყო გაუქმებული ეს ინსტიტუტი, საჭიროა ახალი გამოცდილების დაგროვება. შემდგომ ნაბიჯებსაც აქედან გამომდინარე განვსაზღვრავთ.

— ოპონენტებისთვის შრომის ინსპექტორი საბჭოთა წარსულთან ასოცირდება. კონკრეტულად, რა ტიპის სამსახური იქნება შრომითი ინსპექცია და რამდენად მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის მისი არსებობა?

— საბჭოთა გადმონაშთი არ არის და ეს იმითაც დასტურდება, რომ შრომითი ინსპექცია ყველა განვითარებულ ქვეყანაში მოქმედებს. თავის ქვეყანაში ინვესტორს პრობლემები არ აქვს, რადგან შრომის პირობები კანონის შესაბამისად აქვს განსაზღვრული. სხვა ქვეყანაში ინვესტიციის განხორციელებისას კი გარკვეული საფრთხეები არსებობს. ინვესტორს ჰყავს ქვეკონტრაქტორები და არ შესწევს ძალა, მათი პირობებიც იგივენაირად მოაწესრიგოს. დავუშვათ, უბედური შემთხვევა მოხდა, დარტყმის ქვეშ მხოლოდ მისი ქვეკონტრაქტორი კი არა, თვითონაც ხვდება. ასეთი ინვესტიცია და ეკონომიკური აქტივობა არავის აინტერესებს. რამდენიმე დიდი კომპანიის წარმომადგენლები სწორედ ამ საკითხებით დაინტერესდნენ და იკითხეს, ამ საკითხს კანონი არეგულირებს თუ არა. როდესაც ქვეყანაში დიდი ინვესტიცია შემოდის, მისი მთავარი ორიენტირი ექსპორტია. ექსპორტი ისეთი ქვეყნებიდან, სადაც კაბალური პირობებია ან ბავშვის შრომას იყენებენ, იკრძალება. შესაბამისად, როდესაც ქვეყანაში კანონმდებლობა მოწესრიგებულია, ინვესტორი ამ ტიპის „სკანდალისგან“ ავტომატურადაა დაცული. ამიტომ უნდა არსებობდეს კანონი, რომ ქვეყანაში არსებობს მინიმალური ხელფასი, აკრძალულია ბავშვის შრომა და ზოგადად, შრომითი ტრეფიკინგი. როდესაც შრომის ინსპექტორი კომპანიებს სწორედ ამ მიზნით ამოწმებს, ინვესტორი უკვე დაცულია.

— შრომის ბაზრისა და დასაქმების მხრივ, საქართველოში სერიოზული პრობლემებია. უმუშევართა რიცხვიც იზრდება და სამწუხაროდ, ცალკეული კომპანიები ბავშვების შრომასაც იყენებენ. თქვენი ოპონენტების შეფასებით, „აპოკალიფსი“ მართლა გვიახლოვდება?

— რა თქმა უნდა, არა. რამდენიმე პროგრამა გვაქვს, რომლებიც სწორედ დასაქმებაზეა ორიენტირებული. სოციალური მომსახურების სააგენტომ ვებპორტალი worknet შექმნა, რომლითაც დამსაქმებლებისა და დასასაქმებელი ადამიანების დაკავშირებას ვცდილობთ.

მოეხსნება თუ არა ოჯახს სოციალური დახმარება, თუკი რომელიმე წევრი მუშაობას დაიწყებს

სამუშაო ადგილებიც არის, მაგრამ პრობლემა სხვაა. მაგალითად, ამ საიტზე დარეგისტრირებული სამუშაოს მაძიებლები სამსახურზე უარს ამბობენ და გასაუბრებაზეც კი არ მიდიან. მიკვირს, როცა ადამიანი, რომელიც სოციალურ დახმარებაზეა დამოკიდებული და 60 ლარს იღებს, მისი ოჯახი კი, საშუალოდ — 150 ლარს, 300-400-ლარიან სამსახურზე რომ ამბობს უარს. სამწუხაროდ, სოციალური დახმარების დაკარგვა არ სურს, რაც ჩემთვის ძნელი აღსაქმელია. ვფიქრობ, სოციალური პროგრამის გამო, ხალხი გაზარმაცდა, რადგან სტატისტიკურად, ამ საიტზე სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მხოლოდ 1% დარეგისტრირდა. 99% კი სხვადასხვა მიზეზის გამო, უარს აცხადებს.

— იქნებ, მყარი გარანტიები სჭირდებათ და სტაბილური 150-ლარიანი დახმარება ურჩევნიათ, რადგან ფიქრობენ, 300-ლარიან სამსახურზე რომ დავთანხმდე, შესაძლოა, ორ-სამ თვეში უმუშევარი დავრჩეო?

— ვერ დაგეთანხმებით, რადგან სამსახურის დაკარგვის შემდეგ, სოციალურ დახმარებას ისევ მიიღებს. სწორედ ეს არ ესმით — სამუშაოს დაწყება სოციალური დახმარების დაკარგვას არ ნიშნავს! არსებობენ სოციალურად დაუცველი ოჯახები, რომლებსაც გარკვეული შემოსავალი აქვთ, მაგრამ დახმარებას მაინც იღებენ. თუ ოჯახს 57 000-მდე ქულა აქვს, სოციალურად დაუცველად ითვლება და ასეთი ოჯახის წევრი რომც მუშაობდეს, სოციალურ დახმარებას მაინც მიიღებს. ქულების მინიჭების მეთოდოლოგია ისეა გათვლილი, ერთ მხარეს ოჯახის საჭიროებებია განსაზღვრული, მეორე მხარეს შემოსავლები და ქონება. თუ ოჯახის რომელიმე წევრი შეზღუდული შესაძლებლობების მქონეა, თუ ოჯახში ბევრი ბავშვია, შესაძლოა, ასეთმა საჭიროებებმა ერთი ან ორი ადამიანის ხელფასი გადაწონოს, რაც ნიშნავს, რომ ასეთ ოჯახს სოციალური დახმარება არ მოეხსნება!

— ძირითადად, რა ტიპის კომპანიები აქტიურობენ worknet-ზე და რა სახის სამსახურს სთავაზობენ სამსახურის მაძიებლებს?

— მხოლოდ კომპანიები კი არა, ჩვენც ვაქტიურობთ. ამ ვებ-პროტალზე ნებისმიერი სახის სამუშაო შეიძლება ნახოთ, სეზონურიც და მუდმივიც. ერთ-ერთ კომპანიას ფინანსური მენეჯერი სჭირდებოდა, რომელსაც 3 500-ლარიანი ხელფასი ექნებოდა და ლოგისტიკის მიმართულებით, ისეთი თანამშრომელი მოვუძებნეთ, ხელმძღვანელობა აღფრთოვანდა. გვითხრეს, სამი წელია შესაფერის კანდიდატურას უშედეგოდ ვეძებთო. ზოგადად, ამ ვებპორტალზე მაღალანაზღაურებადი სამსახურები მასშტაბურად არ არის, მაგრამ საშუალოდ, 300, 400 და 500-ლარიანი ანაზღაურების ფარგლებში, სოციალურად დაუცველები დასაქმებას შეძლებენ. რეალურად, დაბალკვალიფიციურ კადრებზე ვართ ორიენტირებულნი, რათა სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დასაქმება შევძლოთ. კონკურენციაში იმ სეგმენტზე არ შევდივართ, სადაც დასაქმების კომპანიების საშუალებით, ადამიანები ისედაც პოულობენ სამსახურს. შარშან თბილისში დასაქმების ფორუმი ჩავატარეთ, რომელსაც საკმაოდ კარგი შედეგი მოჰყვა, რადგან იმ დღესვე, 200-დან 300 ადამიანამდე დასაქმდა. წელს გვინდა, ქუთაისსა და თბილისში, ორი ასეთი ფორუმი ჩავატაროთ. დღის განმავლობაში ადამიანები, სხვადასხვა კომპანიის წარმომადგენლებთან 5-წუთიანი ინტერვიუს შემდეგ, დიდი ალბათობით, დასაქმდებიან.

— ლარის 31%-იანი დევალვაციის ერთ-ერთი მიზეზი ინვესტიციების სიმცირე იყო, ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობა მძიმე ტვირთად სწორედ სოციალურად დაუცველ მოსახლეობას დააწვა, რომლებსაც პროდუქტი და მედიკამენტები გაუძვირდა.

— თუ სტატისტიკურ მონაცემებს გადავხედავთ, დიახ, პროდუქტი გაძვირდა, მაგრამ უსაშველოდ არა. ლარის 31%-იანი გაუფასურება არ ნიშნავს, რომ პროდუქტი და მედიკამენტები 31%-ით გაძვირდა. მეორე მხრივ, მდგომარეობა იმ მოქალაქეებს დაუმძიმდათ, რომლებიც საბანკო სესხებით სარგებლობენ. სოციალურად დაუცველ მოსახლეობას არცერთი ბანკი არ მისცემს 60 და 100 ათასდოლარიან სესხს, ამიტომ ისინი მაინცდამაინც დარტყმის ქვეშ არ არიან. გეთანხმებით, მედიკამენტები გაძვირდა და ამის უარყოფა არ შეიძლება, მაგრამ გიმეორებთ, ფასების მატებას კატასტროფული შედეგი არ მოჰყოლია.

— ამ პრობლემის მოგვარების ერთ-ერთი გზა ინვესტიციების ზრდაა და „იბიარდის“ ბიზნესფორუმიც ამიტომ იყო მნიშვნელოვანი. რა შთაბეჭდილება დაგრჩათ ფორუმზე, ინვესტორები გვიფრთხიან?

— პირიქით! ეს ბიზნესფორუმი საკმაოდ კარგი შედეგით დასრულდა. თავისთავად, ფაქტი, რომ საქართველოში ასეთი ფორუმი ჩატარდა, უკვე უზარმაზარი მიღწევაა, რადგან ყველა ცნობილი ფინანსისტი და დიდი კომპანია ჩამოვიდა. ისინი ადგილზე გაეცნენ ვითარებას, დარწმუნდნენ, რომ საქართველოში ცუდი ბიზნესგარემო არ არის. პრეზენტაციის დროს, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა შესანიშნავი მოხსენება გააკეთა. მინისტრებმაც, ქვეყნის საინვესტიციო პოტენციალზე დეტალურად ისაუბრეს. „იბიარდის“ ხელმძღვანელების გამოსვლების მთავარი მესიჯებიც ის იყო, რომ ინვესტორებს მოუწოდებდნენ, საკუთარი პროექტები აქ განეხორციელებინათ. დიდი ალბათობაა, ამ ბიზნესფორუმის შემდეგ, ახალ და მოწესრიგებულ ბაზარზე, მართლაც ბევრი ინვესტორი შემოვა.

— საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამას ყველაზე მწვავე კრიტიკოსებიც წარმატებად მიიჩნევენ. ამის მიუხედავად, გამუდმებით გვესმის, რომ ეს პროგრამა სახელმწიფო ბიუჯეტს მძიმე ტვირთად აწევს. სოციალური ხარჯით დატვირთული საბიუჯეტო პოლიტიკა აუცილებელია?

— ცალსახაა, რომ ჩვენი ბიუჯეტი სოციალურია. პენსიები ავიღოთ, რადგან ბიუჯეტის უზარმაზარი წილი სწორედ პენსიებზე მიდის. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინიციატივით, ამიტომაც ვმუშაობთ საპენსიო რეფორმაზე. შინაარსით, დღევანდელი პენსია სოციალური დახმარებაა საპენსიო ასაკის ადამიანებისთვის, რადგან მასში გათვალისწინებული არ არის, რამდენ ხანს მუშაობდა ეს ადამიანი ან რა ტიპის გადასახადებს იხდიდა, ყველა პენსიონერს ერთი მოცულობის პენსია აქვს. საპენსიო რეფორმა მალე გატარდება და შესაძლოა, ჩვენი თაობა იმ დროს მოესწროს, როცა ქვეყანა დაგროვებით პენსიაზე გადავა. ჯანდაცვის ნაწილში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დიდი ხარჯები მიდის, მაგრამ ეს ხარჯი სამუშაო ძალას ქმნის, ნამკურნალები ადამიანი შეზღუდული შესაძლებლობის აღარაა და ამ ფონზე, შესაძლოა, ამ ხარჯის ეკონომიკურ ეფექტზეც ვისაუბროთ. თუ ადრე, ურგენტული ან ავარიის შემთხვევით რომელიმე მოქალაქე საავადმყოფოში მოხვდებოდა, ფაქტობრივად, ის ოჯახი უფრო უმწეო ხდებოდა და სახელმწიფოს დამატებით ხარჯად აწვებოდა. საყოველთაო ჯანდაცვის რეფორმა ამ შემთხვევების პრევენციასაც ითვალისწინებს და ვფიქრობ, ამ კუთხითაც უნდა შევაფასოთ რეფორმა. ამ პროგრამის ფარგლებში, ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა წყალში გადაყრილი არ არის, რადგან ჯანდაცვის ინფრასტრუქტურაც მოწესრიგდა და მოსახლეობაც დაცულია. ეკონომიკური თვალსაზრისით, ეს პროგრამა ჩვეულებრივი ინვესტიციაა, რომელსაც ეკონომიკური ეფექტებიც აქვს.

— ამ პროგრამაში კერძო სადაზღვევო კომპანიების მონაწილეობა არაეფექტური გამოდგა, მაგრამ როცა მასში სახელმწიფო სადაზღვევო კომპანია ჩაერთო, მოსახლეობამ მართლაც შეძლო ექიმთან მისვლა. არადა, ეკონომიკის ექსპერტების შეფასებით, საყოველთაო ჯანდაცვა სწორედ კერძო სადაზღვევო კომპანიების ტვირთი უნდა იყოს.

— ვიდრე ეს პროგრამა კერძო სადაზღვევო კომპანიების ხელში იყო, ისინი მთლიანად მოგებაზე იყვნენ ორიენტირებულნი. სადაზღვევო კომპანიის მოგება ის არის, რაც შეიძლება მეტი თანხა მიიზიდოს და ნაკლები ხარჯი გასწიოს. შესაბამისად, ყველა სადაზღვევო კომპანია ცდილობდა, გაცილებით ნაკლები თანხა გადაეხადა კლინიკებისთვის და პრობლემაც სწორედ ეს იყო. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, პირველ რიგში, ადამიანების ჯანმრთელობაზეა ორიენტირებული. თუ კონკრეტულ პირს მკურნალობა სჭირდება, ხელოვნურად არავინ დაბლოკავს და კლინიკაში აუცილებლად გაუშვებს. საყოველთაო ჯანდაცვა ყველა ქვეყანაში არ მოქმედებს. მაგალითად, ევროპაში დაზღვევა სავალდებულოა, სამაგიეროდ, კანონმდებლობაში უამრავი ბერკეტი არსებობს, რათა კომპანიამ ხელოვნურად არ დაბლოკოს ადამიანი. სამომავლოდ, ჩვენთანაც იქნება ასეთი ბერკეტები, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც სასამართლო მთლიანად თავისუფალი და ხელმისაწვდომი გახდება. სამწუხაროდ, დღეს ყველას არ შეუძლია სასამართლოს მიმართოს და სადაზღვევო კომპანიას უჩივლოს, ამიტომ საქართველოში ყველაზე ოპტიმალური და საუკეთესო ვარიანტი, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის განხორციელება იყო. ექიმებთან მიმართვიანობის რაოდენობა გაიზარდა და პაციენტებს არც ოპერაციების დროს ექმნებათ პრობლემა. არავინ ითხოვს, თანხა წინასწარ ჩაირიცხოს. პაციენტი იოლად იღებს სამედიცინო სერვისს. კლინიკაც კმაყოფილია, რადგან სადაზღვევო კომპანიასთან დამატებით არ სჭირდება გარკვევა, ვინ გადაიხდის სამკურნალო ხარჯს. აქედან გამომდინარე, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა ყველასთვის სასარგებლოა.

ვერსიანიუსი

გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელი თანამდებობას ტოვებს

საავტომობილო გზების დეპარტამენტის უფროსის ვაჟა ფანჩულიძის თანამდებობის დატოვების შესახებ ინფორმაცია რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში დაგვიდასტურეს.

უწყებაში აცხადებენ, რომ ფანჩულიძეს ჯერჯერობით განცხადება არ დაუწერია, თუმცა თანამდებობიდან გადადგომის თაობაზე გადაწყვეტილება უკვე მიღებული აქვს.

ვაჟა ფანჩულიძე, პრემიერ-მინისტრის ბრძანებით, გზების დეპარტამენტის თავმჯდომარედ 2014 წლის ივლისში დაინიშნა. აღნიშნულ თანამდებობაზე მან დავით შავლიაშვილი შეცვალა, რომელიც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ხელმძღვანელობდა.

„პირველი“

რატომ არ ასაჯაროებს ირმა ინაშვილი ნაციონალების მამხილებელ სიას

რა 9-თვიან კამპანიას გეგმავს NDI-სა და IRI-ს წინააღმდეგ პატრიოტთა აღიანსის გენერალური მდივანი

ნინო კომახიძე
599-95-33-16

„ვიწყებთ მასშტაბურ გამოკითხვას, ენდობა თუ არა ხალხი NDI-სა და IRI-ს, მომავალი კვირიდან საქართველოს ყველა დიდ ქალაქში! შედეგებს საჯაროდ გავაცნობთ ქართველ საზოგადოებასაც და თავად ამ ორგანიზაციებსაც. საზოგადოების შეცდომაში შეყვანა, რასაც მიზანმიმართული ხასიათი აქვს, დანაშაულია... ისხედით ახლა და დატკბით თქვენი 24%-იანი „მიღწევით“, — ეს განცხადება პატრიოტთა ალიანსის გენერალურ მდივანს, ირმა ინაშვილს ეკუთვნის, რომელიც პროტესტის განსხვავებულ ფორმას მიმართავს და კვლევით ორგანიზაციებს კვლევითვე ემუქრება. რას აპირებს პარტია NDI-IRI-ს წინააღმდეგ და სადაა დაპირებული „ოცნებისტი“ ნაციონალების სია, რომელიც აპრილში უნდა გამოექვეყნებინა — ამ და სხვა კითხვებს ირმა ინაშვილმა უპასუხა.

— ბოლო 15-20 წელია, ქართველ ხალხს NDI და IRI რეალობისგან აცდენილ პოლიტიკურ რეიტინგებს ახვევს თავს. იყო დრო, როცა იმასაც ამბობდნენ, გიორგი თარგამაძის რეიტინგი ბიძინა ივანიშვილისას უსწრებსო და ვნახეთ, რაც მოხდა 2012 წელს. წლების განმავლობაში ხალხის მოტყუება დანაშაულია, პოლიტიკური სპექტრი კი, უბრალოდ, პოზიციას აფიქსირებდა, არ ვენდობითო, მაგრამ დღის წესრიგში კონკრეტული ქმედებები არავის დაუყენებია, ამიტომ მაისის ბოლოდან ამ ორ ორგანიზაციას ადეკვატურ კამპანიას გამოვუცხადებთ.

— რას ამოწმებთ ამ ალტერნატიული გამოკითხვებით, როგორ და თუ დაამტკიცეთ, რომ ხალხი არ ენდობა, რა შეიცვლება?

— ვაპირებთ დიდი კამპანიის წარმოებას ქვეყნის მასშტაბით. ეს პროცესი 6-დან 9 თვემდე გაგრძელდება და მთელ საქართველოს მოიცავს. ყველა მოქალაქე, ვისაც კვლევაში მონაწილეობის სურვილი ექნება, გვეტყვის თავის აზრს, ენდობა თუ არა ამ გამოკითხვებს. ვეცდებით, დავაფიქსიროთ გამოკითხულების ვინაობა, ასაკი, პროფესია და მისამართი. ხოლო შემდეგ შეკრებილ ინფორმაციას მხოლოდ ამ ორგანიზაციებს კი არა, მათ სათავო ოფისებსაც მივაწვდით ამერიკაში და ჩვენს პარტნიორ კონგრესმენებსა და სენატორებსაც. მათ ხშირად ვხვდებით და ვეტყვით, რომ NDI-სა და IRI-ს საქმიანობა, გააზრებულად თუ გაუაზრებლად, ხელს უწყობს ამერიკის პოლიტიკის სრულ დისკრედიტებას ჩვენს ქვეყანაში. ახლა მიზეზებს რომ ეძებენ, რატომ უჭერს მხარს გამოკითხულთა 31% ევრაზიულ კავშირს, ეს სწორედ ამ კვლევის ორგანიზაციების ქმედებების ბრალია. მე მათ პირდაპირ ვადანაშაულებ, რომ მთლიანად გააკოტრეს ამერიკის იმიჯი საქართველოში, რადგან დღეს ისინი აშშ-ს სახელმწიფო პოლიტიკასთან ასოცირდებიან, ხალხი კი ფიქრობს, რომ ამერიკა ატყუებს. ასე არაა — ამერიკა პოლიტიკურ სპექტრს პრორუსებად და პროდასავლელებად არ ანაწევრებს და მხარს ყველა დემოკრატიულ პოლიტიკურ გუნდს უჭერს. სწორედ ამ განწყობით გვხვდებიან ჩვენც კონგრესსა და სენატში. ამ კვლევით ინსტიტუტებს იქ კონკრეტული პოლიტიკური ფრთა კურირებს და არა მთელი ხელისუფლება! მხოლოდ გამოკითხვებითაც არ შემოვიფარგლებით: გავავრცელებთ საინფორმაციო კლიპებს, შევხვდებით მოსახლეობას. ჩვენ ამ ორგანიზაციებს ვამხელთ და ყველას ვაჩვენებთ, რამდენი ადამიანი არ ენდობა NDI-სა და IRI-ს.

— ანუ ევრაზიულ კავშირს რომ 31% უჭერს მხარს, ეს უნდა დავიჯეროთ, მაგრამ პოლიტიკური რეიტინგები — არა, თუ მხოლოდ ნაციონალების მიმართაა მიკერძოებული ეს ორგანიზაციები?

— ყველაფრის გასაღები ტაქტიკა და ტექნოლოგიაა. პატრიარქს რომ ყველაზე დიდი ნდობა აქვს საქართველოში, ყველამ იცის და ბუნებრივია, ამას გვერდს ვერც NDI და IRI აუვლის. ამიტომ პატრიარქი მუდმივად პირველ ადგილზე იქნება, ვიღაცამ კი შეიძლება იფიქროს, რაკი ეს რიცხვი სწორია, სხვა რეიტინგებიც სწორი იქნებაო. ეს სოციოლოგიის ანიბანია. სინამდვილეში, ნაციონალური მოძრაობა ვერანაირი გამოკითხვით, 6-7%-ს ვერ სცდება. ამიტომ ასოცირდებიან ეს ორგანიზაციები ნაციონალების გადარჩენასთან. ამის გამო გაუტყდა ქართველ ხალხს გული აშშ-ზე და მერე ნურავის აბრალებენ, ჩრდილოეთისკენ იყურებიანო.

— თქვენს 4%-იან რეიტინგზე რას იტყვით?

— ჩვენი პროცენტი ძალიან მაღალი და კიდევ უფრო მზარდი რომაა, ეს „ოცნებამაც“ იცის და ნაციონალებმაც. დღეს ბევრს აწყობს ნაციონალების რეანიმირება და სურთ, ირმა ინაშვილი ბოლო პოზიციაზე იყოს. თუმცა ბოლომდე მაინც ვერ გვაქრობენ, იმდენად მაღალია, ჩვენი რეიტინგი. ჩემი წყაროებისგან ვიცი, რომ „ოცნებაცა“ და ნაციონალებიც შიდაკვლევებს ატარებენ და მათსავე კვლევებში ჩვენს პარტიას დიდი მაჩვენებელი აქვს.

— ამასობაში, ყველა დაპირებული ვადა ამოიწურა, როცა რამდენიმე ათეულკაციანი ნაციონალების სია უნდა გამოგექვეყნებინათ, რომელთაც ხელს „ოცნება“ აფარებს და ისინი ძალოვანი უწყებების მაღალჩინოსნები არიან. სადაა ეს სია?

— სია ჩემთანაა და ფაქტობრივად, ბოლომდეა დაზუსტებული. ძალიან ვფრთხილობ და არ მინდა, მასში შემთხვევითი ადამიანები მოხვდნენ, რომელთაც შეიძლება, ცხოვრება სამუდამოდ დაეგნგრეს. 150 კაცის გადამოწმება ძნელია, რადგან უშიშროების აგენტი, სუს-ი და კუდ-ი არ ვარ, ყველაფრის გადამოწმება 2 თვეში მოვასწრო. არ დაგიმალავთ, ამ პროცესს შეგნებულად ვაჭიანურებ გასაჯაროებამდე, თორემ ხელისუფლებამ ეს სია ისედაც იცის.

— თუკი იციან და არაფერს ცვლიან, მაშინ გასჯაროებას რაღა აზრი აქვს?

— ამას ხალხისთვის აქვს აზრი — ჩვენ ღიად ვეტყვით ამ ხელისუფლებას, რატომ გყავს სტრუქტურებში ზონდერებიო! ამიტომ კონკრეტული თარიღის დასახელება მიჭირს. ფაქტია, ამ სიაში ზოგი მოქმედი მაღალჩინოსანია, ზოგი — გათავისუფლებული, ზოგზე კი მაქვს ინფორმაცია, რომ ახლა ათავისუფლებენ. სიაში ხალხისთვის ცნობილი ადამიანებიც არიან და უცნობებიც, მაგრამ სია კონკრეტული მოწმეების ჩვენებითა და ადვოკატების დასკვნებითაა შედგენილი. თუმცა მაინც არ ვჩქარობ, რადგან ეს ძალიან საპასუხისმგებლო საქმეა.

„ეროვნული ფრონტის წევრები“ შიმშილობენ და მთავრობის გადადგომას ითხოვენ

ნინი ჯაფარიძე
571-17-00-02

მეოთხე დღეა, რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის შენობის წინ 30-მდე ადამიანი პროტესტის უკიდურეს ფორმას მიმართავს. უმეტესობა გორიდან ჩამოვიდა. აცხადებენ, რომ „სრულიად საქართველოს ეროვნული ფრონტის“ წევრები არიან და იბრძოლებენ, სანამ მათი მოთხოვნების არ დაკმაყოფილდება. საინიციატივო ჯგუფის მოთხოვნა კი ასეთია: გადადგეს მთავრობა, საქართველომ დაუყონებლივ შეცვალოს პოლიტიკური კურსი, გახდეს ნეიტრალური სახელმწიფო და უარი თქვას როგორც ნატო-ში, ასევე ევრაზიულ კავშირში გაწევრიანებაზე. საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელის, გია დაღელაშვილის მტკიცებით, ეროვნული ფრონტის მოთხოვნების აღსასრულებლად დღეს სამოქალაქო ნებაც არსებობს. მაგალითად კი იმ 2 მილიონ ხელმოწერას ასახელებს, რომლის შეგროვებაც, მისი თქმით, ეროვნულმა მოძრაობამ ჯერ კიდევ ედუარდ შევარდნაძის დროს დაიწყო.

— ბატონო გია, რას აპროტესტებთ და რა ხელმოწერები გაქვთ შეგროვილი?

— ვაპროტესტებთ ქვეყნის პოლიტიკურ კურსს. საქართველო ქართველმა ერმა უნდა განაგოს. ერთიანი, ეროვნული და ჭეშმარიტად ღირებული ფასეულობებით. უნდა აიკრძალოს ქართული წიაღისეულის გაყიდვა და შეიცვალოს გარედან დასმული ხელისუფლება. არც ნატო გვინდა და არც ევრაზიული კავშირი, გვინდა ნეიტრალიტეტი. საქართველო შვეიცარიის ტიპის ქვეყანა უნდა გახდეს. ხელმოწერების შეგროვება ჯერ კიდევ შევარდნაძის დროს დავიწყეთ.

— მას შემდეგ, ბევრი ალბათ გარდაიცვალა, ბევრმა ქვეყანა დატოვა, ზოგმაც ალბათ აზრი შეიცვალა. ფიქრობთ, ამ დოკუმენტს დღეს რაიმე ძალა აქვს?

— 2 მილიონზე მეტი ადამიანის ხელმოწერა გვქონდა. 400 ათასი ადამიანის ხელმოწერა ჩამოვაკელით. ეს დიდი ციფრია. საქართველოს კონსტიტუციით, ხელისუფლება ვალდებულია, დაემორჩილოს ერის უმრავლესობის მოთხოვნას. ხელმოწერების საფუძველზე, 2014 წელს ჭადრაკის სასახლეში ეროვნული ყრილობა ჩავატარეთ და რადგან ამდენი ხელმოწერა გვქონდა, უმაღლესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, ერის სახელით ესაუბრა და ემოქმედა.

— რატომ ფიქრობთ, რომ საქართველოს დღეს ასეთი რადიკალური ცვლილებები სჭირდება და რატომ ხართ დარწმუნებული, რომ გემხრობათ მოსახლეობის უმრავლესობა, რომელიც დღეს აქ არ ჩანს?

— უტყუარი ინფორმაცია გვაქვს — თუ ამ ცვლილებებს არ განვახორციელებთ, შეუქცევადი პროცესი დაიწყება. დიდი არეულობა მზადდება, ისეთი, როგორიც კიევში იყო.

— და ვინ მოაწყობს თბილისში ევრომაიდანს?

— ციხე შიგნიდან ტყდება. ამის ორგანიზებას ნაციონალური მოძრაობა და მისი მომხრე არასამთავრობო ორგანიზაციები მოახდენენ. შესაძლოა, ხალხიც ჩამოიყვანონ. ეს ყველაფერი წინასწარაა დაგეგმილი. უკრაინაში მოაწყვეს გადატრიალება და ერთი ბეწო საქართველოში რა შეუშლის ხელს? ნუთუ ვერ ხედავთ სააკაშვილს რამხელა მხარდაჭერა აქვს საერთაშორისო ორგანიზაციებისგან?

— დავაზუსტოთ — ნაციონალური მოძრაობის გეგმების წინააღმდეგ იბრძვით თუ დღევანდელი მთავრობის?

— გვინდა, ქვეყნის მართვის სისტემა გადაეცეს ჩვენი ერის წარმომადგენლობას — საქართველოს ეროვნულ ყრილობას. ჩვენი მოძრაობა იბრძვის ეროვნული ინტერესებისთვის, ნამდვილი დამოუკიდებლობისთვის. გვინდა, ერი იყოს თავისუფალი და ბედნიერი.

— რას აპირებთ, თუ თქვენს მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებენ?

— აქციამდე წერილით მივმართეთ საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს, მთავრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებს. აქციებს არ შევწყვეტთ. მიუხედავად იმისა, რომ უკვე შეგვექმნა პრობლემები — ვიღაც უცნობი ადამიანები მოვიდნენ, გვეკამათნენ, ფიზიკურ დაპირისპირებაზეც გადმოვიდნენ. არ ვიცი, პროვოკაციის მოწყობა უნდოდათ თუ, რა. მადლობა ღმერთს, ყველაფერი მშვიდობით დამთავრდა. სხვა მხრივ, არავინ მოგვაქცია ყურადღება. არც სახალხო დამცველი მოსულა. საერთოდ არ უკითხავთ ჩვენი ამბავი.

ნაციონალური მოძრაობა შემოდგომაზე ვადამდელი არჩევნებისთვის ემზადება

ნინო კომახიძე, 599-95-33-16

ნაციონალური მოძრაობის ლაიტმოტივი კვლავ ვადამდელი არჩევნებია. პარტიის ლიდერები ზაფხულში რეგიონებში გასვლასა და 500-მდე შეხვედრის ჩატარებას გეგმავენ, ახალ პროგრამაზეც მუშაობენ. არც იმას გამორიცხავენ, ამ მოთხოვნით აქციები დაიწყოს და საზოგადოებრივი განწყობა მომწიფდეს. თუმცა ბოლო დროს, მათი ყველა ხმაურიანი განცხადება, „ოცნების“ დარად, შეუსრულებელი მისია აღმოჩნდა. მათ შორის, მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების პროცედურაც. მართალია, ნომერპირველი ოპოზიციური პარტიის იმიჯი კარგად მოირგეს, მაგრამ სხვა თემაა, ამ იმიჯს რამდენად იმსახურებენ და რას აკეთებენ იმისთვის, ხელისუფლებამ უკეთ იმუშაოს. „ვერსიას“ ბევრ საინტერესო თემაზე პარტიის რეგიონული მდივანი ნუგზარ წიკლაური ესაუბრა.

„არ მსურს, პარლამენტის წევრი მერქვას, როცა ვერაფერს ვცვლი“

— უკრაინის თემით დავიწყოთ, სადაც იუსტიციის სამინისტრო ჯაბა ებანოიძემ დატოვა, მანამდე ალექსანდრე კვიტაშვილზე ითქვა, „დიდი ნაციონალური კატასტროფაა“ უკრაინის ჯანდაცვაშიო. რა ხდება, უკრაინის გადარჩენის თქვენი გეგმა ჩაფლავდა?

— ეს თემა ქართულ სივრცეში ზედმეტად პოლიტიზებულია. ალბათ, ზოგიერთს ძალიან უნდა, უკრაინაში ქართველ რეფორმატორთა ჯგუფი, სადაც ექსმინისტრებიც არიან, წარუმატებელი იყოს. 3-4 დღის წინ ჩამოვედი უკრაინიდან, სადაც ვნახე ადეიშვილი, სააკაშვილი და იქ მიმდინარე პროცესებს თვალ-ყურს რამდენიმე დღე ვადევნებდი. სინამდვილეში, ეს ჯგუფი უკრაინული რეფორმის მთავარი ძრავაა.

უკრაინა თავად გადაწყვეტს, ვისგან მიიღოს რჩევები. მთავარი პრობლემა ისაა, რომ საქართველოს ხელისუფლებისგან რჩევაც არავის სურს. უკრაინაში, ალბანეთში, უნგრეთში რჩევებს სწორედ სააკაშვილ-ადეიშვილისგან იღებენ და ეს მეგობრული ურთიერთობების ან ნაცნობობის კი არა, საქართველოში გატარებული წარმატებული რეფორმების დამსახურებაა.

— მაგრამ კვიტაშვილის რეფორმები ჩაფლავებულად უკრაინის ხელისუფლებამ შეაფასა და არა „ოცნებამ“.

— უკრაინაშიც ხომ ცოცხალი პოლიტიკური პროცესი მიდის, როგორც ყველგან. ამიტომ ზოგი უფრო წარმატებულია, ზოგი — ნაკლებად. შესაძლოა, ესა თუ ის პროექტი დადებითად არ შეფასდეს, თუმცა საქართველოს ხელისუფლების ყურადღება იმაზეა კონცენტრირებული, რა შეეშლებათ ქართველებს უკრაინაში.

— არსებობს ბრალდებაც, რომ სააკაშვილის მეგობარი მაღალჩინოსანი, კარლ ბილდტი, ჩვენს ექსპრეზიდენტთან ერთად, უკრაინაში პრორუსულ ინტერესებს ატარებს.

— ითქვა, თითქოს, ბილდტი რომელიღაც რუსული კომპანიის მრჩევლად შეიძლება მიიწვიონ, მაგრამ ეს არსად დადასტურებულა, ამიტომ ამაზე მაშინ ვისაუბროთ, როცა ეს ცნობები დაზუსტდება.

— ისე, ხალხის მნიშვნელოვან ნაწილს ნაციონალებისადმი სიძულვილი დღემდე აქვს. სხვა ქვეყანაში წარმატებული რეფორმების ხარჯზე, საქართველოში დაშვებულ შეცდომებს გაპატიებენ, ამას ელით?

— უკრაინაში დღეს ორი ფრონტია: ერთი ომი და მეორე ეს რეფორმები. ამ ქვეყნის წარმატება დიდწილად განსაზღვრავს ამიერკავკასიის ქვეყნების, მათ შორის, საქართველოს წარმატებასაც. რაც უფრო დიდი იქნება ამ წარმატებაში ქართველების წვლილი, მით უკეთესი მთელი ქვეყნისთვის. ტყუილად ჰგონიათ ხადურს, წულუკიანსა და სხვა ოდიოზურ ადამიანებს, რომ ხალხი აზრს მათი ნალაპარაკევით შეიქმნის. ყველა ხედავს, რომ უკრაინასა და სხვა ქვეყნებში სწორედ ქართველ რეფორმატორებს იწვევენ. თუ ყველაფერი წარმატებით დასრულდა, ეს ნაციონალური მოძრაობისთვის ახალი საფეხური იქნება, რაც საბოლოოდ, არჩევნების შედეგებზეც იმოქმედებს. ახლა პარტიის გარშემო არაერთგვაროვანი ვითარებაა. ისეთი რეიტინგი აღარ გვაქვს, როგორც 2010 ან თუნდაც 2012 წელს გვქონდა, თუმცა NDI-ს ბოლო კვლევით გამოჩნდა, რომ ჩვენმა რეიტინგმა ერთბაშად 5 პუნქტით მოიმატა. „ოცნების“ რეიტინგს კლების, ჩვენსას კი ზრდის ტენდენცია აქვს.

— NDI-ს კი არ აქვს ნდობა...

— ეს აზრი კომენტირების ღირსადაც არ მიმაჩნია.

— რატომ, NDI არ ამტკიცებდა 2012 წელს, ნაციონალები „ოცნებას“ უსწრებენო და არჩევნებზე კარდინალურად სხვა შედეგი არ დადგა?!

— ეს ნამდვილი პოლიტიკური კოლაფსი იყო. წინასაარჩევნო პერიოდში კი ჩვენზე, კაგებეშნიკურ სტილში, თავდასხმა მომზადდა და ციხის კადრები გავრცელდა. მაშინ ამან ძალიან იმოქმედა, თორემ დღეს უკვე ყველამ იცის, რომ ე.წ. ცოცხების კადრი დადგმული იყო. ხალხმა ეს ტყუილი რომ დაიჯერა, თვალს ვერც ამაზე დავხუჭავთ, რადგან ციხეებში მართლა ძალიან რთული ვითარება იყო. ყველამ გავიაზრეთ, რომ ამ მიმართულებით სერიოზული შეცდომები დავუშვით. ახლა კი ამ შეცდომების აღიარებისა და ახალი ხედვის წარდგენის დროა. ჩვენმა პარტიამ ხალხთან კომუნიკაციისთვის რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი უნდა გადადგას: ვამზადებთ ხედვას, როგორი იყო განვლილი პერიოდი, თავისი წარმატებებითა და შეცდომებით. ნაციონალურმა მოძრაობამ ხელისუფლების მშვიდობიანი გადაცემის პრეცედენტი შექმნა. ახლა კი ჩვენვე უნდა შევქმნათ კიდევ ერთი პრეცედენტი, რომ არავითარი ვენდეტა არ იქნება.

— ისე საუბრობთ, თითქოს ცოტა ხანში ხელისუფლებაში ბრუნდებით. არაერთ პოლიტოლოგს უთქვამს, რომ ნაციონალები ხელისუფლებაში მხოლოდ თქვენს მიერვე ინსპირირებული არეულობის შედეგად თუ დაბრუნდებით.

— შეთქმულების თეორიების მსხვერპლი არ უნდა გავხდეთ. ქვეყანაში ძალიან ცუდი, მაგრამ ცხადი სურათია. სამი წლის წინ, მილიარდერის ხელმძღვანელობით მოსულმა ძალამ დაპირებები ვერ შეასრულა, ქვეყანა უკან წავიდა, მილიარდერი გაიქცა და ხალხი უკმაყოფილოა, რადგან მას მხარი ეკონომიკური კრიზისისა და ლარის დევალვაციისთვის არ დაუჭერია. ყველა პარტიის მიზანი ხელისუფლებაში მოსვლაა და ჩვენც არ ვართ გამონაკლისი, მით უმეტეს, ყველამ აღიარა, რომ პირველი ოპოზიციური ძალა ვართ.

— რადგან სიამაყით უსვამთ ხაზს, რომ პირველი ოპოზიციური, პროდასავლური ძალა ხართ, ამიხსენით, რას ნიშნავს ის, რომ გამოკითხვის თანახმად, მოსახლეობის 31% მხარს ევრაზიულ კავშირს უჭერს, სად ხართ და რას აკეთებთ ამ ტენდენციის საწინააღმდეგოდ?

— ეს 31% რომელიმე კონკრეტულ პოლიტიკურ ძალას არ ეკუთვნის. გამოკითხულთა მესამედს ასეთი განწყობა აქვს რუსეთის მიმართ, სამაგიეროდ, ორი მესამედის არჩევანი ნატო და ევროკავშირია. ამასაც თავისი მიზეზები აქვს: ევროპასთან ინტეგრაციის არასაკმარისი ტემპი და ამ გზაზე პრობლემათა მთელი კასკადი, რაც ხალხში ნიჰილიზმს იწვევს ევროპული განვითარებისადმი. რუსეთში ჩვენი ხსნაა, ეს სასოწარკვეთილი ხალხის აზრია, რომელიც, შესაძლოა, რუსეთს იდეოლოგიურად სულაც არ ეთანხმება. ამ უიმედობას ისიც დაემატება, რომ რიგის სამიტზე ვიზალიბერალიზაციას ვერ მივაღწევთ. ხელისუფლება ბევრს რამეს დაგვპირდა, მაგრამ ვერაფერს მიაღწია და არაფერი შეასრულა!

— მერე, თქვენ, როგორც ნომერპირველი ოპოზიციური ძალა, არ გრძნობთ პასუხისმგებლობას, რომ ხელისუფლება ბევრ რამეს დაგვპირდა და არაფერი შეასრულა?

— დიახ, ეს ძალიან სერიოზული პრობლემაა. ოპოზიციის მოვალეობაა, სულ იმაზე ილაპარაკოს, რა ეშლება ხელისუფლებას და თავად როგორ ხედავს განვითარებას. თუმცა პარლამენტში ჩვენი წარმომადგენლობა საკმარისი არაა სხვადასხვა გადაწყვეტილების შესაცვლელად. იმდენად აგრესიულად მორჩილია „ოცნების“ უმრავლესობა, რომ ეს დამარცხებული და თავლაფდასხმული მთავრობა დაამტკიცა, იგივე ხადურით, წულუკიანითა და სხვებით, მიუხედავად იმისა, რომ პირად საუბრებში თავად პარტია „ოცნების“ დეპუტატებსაც არ აქვთ მაღალი აზრი მთავრობის ზოგიერთ წევრზე, მათ შორის, ხიდაშელზე.

— თქვენს პომპეზურ დაპირებაზე რას იტყვით, მარტში, აქციაზე რომ გამოაცხადეთ, მთავრობის უნდობლობის საკითხს დავაყენებთო. ამას 60 ხმა სჭირდება პარლამენტში და სადაა დაპირებული „უნდობლობა“?

— ნაციონალური მოძრაობის ყველა წევრის ხელმოწერა არსებობს, თუმცა პროცედურის დასაწყებად მართლაც 60 კაცია საჭირო. როგორც კი 60 ხმა შეგროვდება, პროცედურა დაიწყება.

— ასეთი ხმამაღალი ანონსი რატომ გააკეთეთ, არავის მხარდაჭერის იმედი თუ არ გქონდათ?

— გავაკეთეთ ის, რასაც ახლაც ვითხოვთ — ეს მთავრობა უნდა გადადგეს, რაც ამ ვითარებიდან ყველაზე სწორი გამოსავალია.

— თქვენი პარტიის მუშაობით კმაყოფილი ხართ — თბილისში სხდომებს არ ესწრებით, თუ თქვენს ინტერესში არ შედის, ქუთაისშიც არ დადიხართ და ეს ეფექტურ ოპონირებად მიგაჩნიათ?

— ჯერ ერთი, დიდი ხნის განმავლობაში თავდაცვისა და მოგერიების რეჟიმში ვმუშაობდით. მეორე — ჩვენს კანონპროექტებზე ლამის წითელი ხაზია გავლებული, რომ მხარდაჭერა არ მიიღოს, ამიტომ ჩვენი კანონშემოქმედებითი საქმიანობა დიდად არ ჩანს. თანაც, ზოგ შემთხვევაში, მოსახლეობასა და ჩვენს მხარდამჭერებთანაც არასაკმარისი ურთიერთობა გვაქვს და ახლა სწორედ ამის გამოსწორებას ვაპირებთ. ივნისიდან ჩვენი პარტიის ყველა ლიდერი, დეპუტატიცა და პარლამენტსგარეთ მყოფიც რაიონებში აქტიურ შეხვედრებს ვიწყებთ. წინასწარი მონაცემებით, საქართველოს სოფლებში 500-მდე შეხვედრა გვექნება.

— პროგრამაზე ვმუშაობთო, 500 შეხვედრას გავმართავთო — არჩევნებისთვის მზადება მეტისმეტად ადრე ხომ არ დაიწყეთ?

— არათუ არჩევნებისთვის ვემზადებით, არამედ პირდაპირ ვითხოვთ ვადამდელ არჩევნებს. 1,5 წელზე მეტი გარანტირებულად შემიძლია დეპუტატი ვიყო, მაგრამ მეც და ჩემი პოლიტიკური გუნდიც, მზად ვართ, ქვეყანაში ვადამდელი არჩევნები ჩატარდეს. პარლამენტში იმ ყველაფერს სრულფასოვნად ვერ ვაკეთებთ, რის გამოც ხალხმა აგვირჩია, ამიტომ არ მსურს, პარლამენტის წევრი მერქვას, როცა ვერაფერს ვცვლი. ხალხი პოლიტიკური პროცესის ნდობას ბოლომდე თუ დაკარგავს, ეს უკვე პოლიტიკურ კოლაფსს ნიშნავს და შემდეგი ეტაპი სამოქალაქო დაპირისპირებაა. შეიძლება, ვიღაცამ თქვას, 2016 წლის ოქტომბერში ხომ მაინცაა არჩევნებიო, მაგრამ ყოველი ახალი თვე უარესად მოქმედებს ქვეყნის მდგომარეობაზე.

— ანუ, ამიერიდან ვადამდელი არჩევნებისთვის ნიადაგის მომზადებას იწყებთ?

— უარს ვამბობთ ყოველგვარ პოლიტიკურ შურისძიებაზე, ვამზადებთ პროგრამას, ვგეგმავთ ასობით შეხვედრას, ვაანალიზებთ საკუთარ შეცდომებს და გვაქვს ახალი ხედვები. მიგვაჩნია, რომ გამოსავალი ვადამდელი არჩევნებია და ამის მისაღწევად ყველა ლეგალურ ფორმას გამოვიყენებთ, რათა ეს აზრი ფართო საზოგადოებამდე მივიტანოთ. ამ მოთხოვნით არც აქციების ჩატარებაა გამორიცხული.

შიში, მოტოციკლი და ბაფთა

ლევან სეფისკვერაძე

ისინი მოდიოდნენ ტყავის ქურთუკებით, ეჭვიანი მზერით, დიდ-დიდი მოტოციკლებით, შემზარავი ფიქრებითა და გულზე დაბნეული ბაფთებით, რომელიც, ბედის ირონიით, ბოროტებასთან მებრძოლი წმინდა გიორგის სახელს ატარებს. ისინი სულ მოდიოდნენ. ხან მეფის სახელით, ხან წითელი დროშით და ხან წმინდა გიორგის ბაფთით, მაგრამ მათი მიზანი ყოველთვის ერთი იყო და ჩვენი ბედოვლათობის გამო, თითქმის ყოველთვის აღწევდნენ მიზანს. ჩვენ სამწუხაროდ ისტორიისგან ვერაფერს ვსწავლობთ და ჩვენთვის ისტორიის სწავლა მეთვრამეტე საუკუნეში კრწანისში მომხდარი უბედურებით მთავრდება.

მათ აქ ყოველთვის ხვდებოდნენ. ხვდებოდნენ პოეტები და მწერლები, რეჟისორები და პროფესორები, ჩინიანნი და უჩინონი. ხვდებოდნენ გულისამრევი ქლესობით, რაც არასოდეს იწერება ისტორიის წიგნებში, რადგან ხშირ შემთხვევაში ამ წიგნებსაც ის ხალხი წერდა, რომლებიც თეთრ ცხენზე ამხედრებულ სერიოჟას წითელი დროშით ხვდებოდნენ. ჩვენ ეს ვიცით, გვსმენია, სადღაც შეიძლება წაგვიკითხავს კიდეც, მაგრამ ბოლომდე არ გვჯერა, რადგან გვეშინია, ჩვენს მიერვე შექმნილი მითები თვალსა და ხელსშუა არ დაგვემსხვრეს. მითები გულად და პურად ერზე, რომელიც მტერს მტრულად ხვდებოდა და მოყვარეს მოყვრულად – როგორც ეს ერთ მშვენიერ ლექსშია.

მაგრამ იყო სხვა ლექსებიც... ლექსები, სადაც სიმართლე შემზარავად და გულის გასახეთქად იყო გაშიშვლებული. „მტრის არმცნობო, მოყმის მგმობო“ – ეწერა ასეთ ლექსებში და მიუხედავად იმისა, რომ ასეთი სიტყვების ავტორებს საჯაროდ გენიოსებს ვუწოდებდით, მაინც ეს ოხერი შიშის ჭია გვიღრღნიდა ჯიგარს. იქნებ მე ვარ ის „მტრის არმცნობი და მოყმის მგმობი?“ იქნებ ჩემზე დაწერა იმ გადარეულმა მთის კაცმა? იქნებ გამომიჭირეს?...

და თეატრალურობა... ეს ის თვისებაა, რის გარეშე ქელეხიც კი არ ტარდება ამ ქვეყანაში. თეატრალურები ვართ მაშინაც, კი, როდესაც შეგვიძლია სრულად მარტივად და ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე ვუთხრათ ბაფთადაკიდებულებს, რომ ეს ჩვენი ქვეყანაა და აქ არ დავუშვებთ ოკუპანტების სიმბოლიკით მათ ჯლიგინს. მაგრამ არა! ჩვენთან ამბობენ, რომ ისინი არ უნდა გავაღიზიანოთ, რომ ეს მხოლოდ ბაფთაა და მეტი არაფერი, რომ არ უნდა ავყვეთ პროვოკაციას და სხვა... ორიგინალური კაცის თამაში, თავის მოწონება, ჩუმჩუმელობა, პირში თქმის შიში – აი, მცირე ჩამონათვალი იმ ყველაფრისა, რის გამოც ჩვენ ვერ შევძელით საძაგელი სიმბოლიკის მქონებელთათვის საკადრისი პასუხის გაცემა. არადა, ეს არც ისე რთული ამბავი იყო.

არაა საჭირო ჩხუბი და გაწევ-გამოწევა, არც გინებაა გამოსავალი და არც ფსევდოპატრიოტულად მუშტების მკერდზე ბრახუნი. თუკი დინჯად, აუღელვებლად და რაც მთავარია, საკუთარი ღირსების გრძნობით აღვსილი მიუთითებ სტუმრის სტატუსით მოსულ მოძალადეს, რომ მის გულზე დაბნეული ნიშანი შენს თავმოყვარეობასა და ღირსებას ბღალავს, რომ სრულიად მარტივი ხელის მოძრაობითა და ლენტის ჯიბეში ჩადებით ყველა პრობლემა იხსნება, რომ პიროვნულად არავინ გძულს, მაგრამ შენს მიწაზე ზედმეტად არავის აპარპაშებ, რომ მასპინძლობა სანიმუშო იცი, თუმცა თავზე არავის დაისვამ – დამერწმუნეთ, ყველა გაგიწევს ასეთ დროს ანგარიშს.

სამწუხაროდ ამ ქვეყანაში ვისაც კი არ ეზარება, ყველას სიტყვა „ღირსება“ აკერია პირზე და ამ სიტყვას მოტოციკლის ბორბალივით ატრიალებენ წაღმა-უკუღმა. მაგრამ, როცა საქმე საქმეზე მიდგება, ერთი მახინჯი ბაფთის გვეშინია. ბაფთის, რომელიც ჩვენს ყველაზე დიდ უბედურებას – ოკუპაციას გვახსენებს!

შურისძიება ღალატისთვის

როგორ აუბედურებენ ციხიდან გასული პატიმრები ყოფილ შეყვარებულებს

პატიმარი №0578

რამდენიმე დღის წინ, რუსთავში საზარელი მკვლელობა მოხდა. წინასწარი ინფორმაციით, ეჭვიანობის ნიადაგზე შეყვარებულმა 23 წლის გვანცა კილაძეს ყელი გამოჭრა, მერე კი თვითმკვლელობა სცადა. ეს ქალზე ძალადობის პირველი შემთხვევა არ არის. ცოდვა გამხელილი სჯობს — რამდენიმე თვის წინ, ქალთა წინააღმდეგ ზედიზედ რამდენიმე დანაშაულის დაფიქსირების შემდეგ, საზოგადოებისთვის ცნობილმა თუ უცნობმა სახეებმა ხმაური ატეხეს, არასამთავრობო ორგანიზაციები და მოძრაობები შექმნეს, ქალთა უფლებები ირღვევაო, მაგრამ როგორც კი დანაშაულის რიცხვმა იკლო, ეს ხალხი ისე გაქრა, თითქოს აქამდე არც არსებობდა. ლოგიკას რომ მივყვეთ, გამოდის, ეს ამბავი საკუთარი თავის წარმოსაჩენად სჭირდებოდათ და არა პრობლემის აღმოსაფხვრელად. პრობლემა კი ისევ არსებობს და ეს, სამწუხაროდ, არაერთხელ დადასტურდა...

სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხვედრილი მამაკაცები პირველი შოკის გადავლის შემდეგ იმათზე იწყებენ ფიქრს, ვინც გარეთ დატოვეს. შვილები, ცოლი, მშობლები, შეყვარებული... და სიტყვაზე გვენდეთ — ყველზე მძიმედ სწორედ შეყვარებულისა და ცოლის ღალატი გადააქვთ. უფრო ზუსტად კი, ყველაზე მეტად პატიმრის ფსიქოლოგიას საყვარელი ადამიანის ღალატი ანგრევს და შურისძიების წყურვილიც იქვე ჩნდება. თუ ეს სურვილი გათავისუფლებამდე არ განელდა, ციხიდან გამოსვლისთანავე, პირველი, რაზეც ფიქრობს, შურისძიებაა.

არცთუ იშვიათად, ქალები არ ფიქრობენ, რომ მათი რჩეულები ციხეს ოდესმე დატოვებენ და ამიტომ მათ გამწარებას მაქსიმალურად ცდილობენ. რატომღაც შეგრძნებაა ისეთი, რომ როცა ვინმეს 10 ან 15 წელი აქვს მისჯილი, მთელ ცხოვრებას იქ გაატარებს და... ასე არ ხდება, წლები სიზმარივით გადის და რაც უფრო გამწარებულია პატიმარი, მით საშიშია.

რუსთავის №17 დაწესებულებაში პატიმრები შეყვარებულებზე იშვიათად საუბრობდნენ, უფრო იშვიათად კი — ცოლებზე. ე.წ. კაიბიჭები ერთმანეთში ხშირად ხუმრობდნენ, შენ შეყვარებული კი არა, დედა არ დაგიცდის გარეთო. ამაზე თავად ხუმრობის ობიექტებიც იცინოდნენ, მაგრამ რეალურად, გონებაში სხვა აზრი უტრიალებდათ — ეჭვის ჭია უჩნდებოდათ, რომელიც მოსვენებას სამუდამოდ უკარგავდა.

როცა პირველად რამაზ ჩ. მოიყვანეს ზონაზე, კამერაში, თავის საწოლთან, ულამაზესი გოგოს სურათი დაკიდა. ჩემი საცოლეაო, ჩუმად თქვა და ყოველდღე სურათს ღიმილიანი სახით უყურებდა.

„დამალე ეგ სურათი, რამაზ, გასკდა გული, ყოველდღე ასეთი სილამაზის ყურება მავნებელია ჯანმრთელობისთვის“, — უთხრა ერთ დღეს „საკამერნიკმა“. კინაღამ ჩხუბი ატყდა, თუ არ გინდა, ნუ უყურებ, შენთვის არ არის ეს სურათიო, ბობოქრობდა რამაზი. მთელმა ზონამ იცოდა, რომ გოგოს ნინო ერქვა, თბილისელი იყო, რამაზის უბნელი და როგორც თავად ამბობდა, მის ხელში გაზრდილი. ყველაფერი თითქოს კარგად მიდიოდა, მაგრამ ერთ დღეს რამაზის უბნელი მაყურებლებთან შევიდა.

„მოკლედ, ის ნინია თუ ვიღაც ბოზი, თხოვდება, რა. ამ კვირაში ქორწილი აქვს, ამას უმალავენ, მაგრამ როდემდე დაუმალავენ? იმ ნინის სავარაუდოდ ეშინია, პასუხობს ჯერ ტელეფონს, მაგრამ მერე, ქმარი რომ ეყოლება სახლში, რა უნდა უთხრას, შეყვარებული პატიმარი მყავსო? რამაზას ბავშვობიდან ვიცნობ, გადაყვება ამ ამბავს და როცა გაიგებს, ყურადღება უნდა მიაქციოს ვინმემ“, — ანეკდოტივით მსუბუქად მოჰყვა შემოსულმა ეს ამბავი. მსუბუქად იმიტომ, რომ ეს ტიპური ღალატის არც პირველი ისტორია იყო და არც უკანასკნელი, თუმცა... ნინის საქციელი ვისთვის ღალატია და ვისთვის პატიმარ შეყვარებულთან ურთიერთობის ჩვეულებრივი, ლოგიკური დასასრული.

„შენ რას იტყვი? როგორმე უნდა შევამზადოთ ამისთვის, თორემ დავითა ხომ გახსოვთ, ცოლი რომ გაუთხოვდა, ვენები გადაიჭრა და ძლივს გადავარჩინეთ. ორი კვირის წინ არ იყო ეგ ამბავი? და ახლა კიდევ მეორედ ვენების ჭრა, ისედაც „დაგრუზულ“ პატიმრებს უფრო „დაგრუზავს“. ყველას ჰყავს ვიღაცა და ყველას ფიქრი იქეთ გაექცევა, თორემ რამაზა და მაგის ბოზი შეყვარებული არ გვკიდია?!“ — მაყურებელი პატიმარ №0578-ს მიუბრუნდა.

„არ მაქვს მაგ რამაზასთან ისეთი ურთიერთობა, ჭკუა დავარიგო, მაგრამ... რამდენი წელი აქვს მისჯილი?!“ — იკითხა №0578-მა.

„რვა წელი „თხარეს“ და ორი წელი არ არის, რაც ზის“, — უთხრა რამაზის უბნელმა.

№0578 ჩუმად წამოდგა, მაყურებლებს უთხრა, დაველაპარაკებიო და კამერიდან გავიდა. რამაზის საკანში სულ ორიოდე პატიმარი იყო, თავად რამაზი სიგარეტს ეწეოდა და ნინის სურათს უყურებდა. სურათი ხატების კუთხესთან გადაეტანა და როცა №0578-მა ჰკითხა, ასე რატომ მოიქეციო, იმან ღიმილით უპასუხა: „ჩემი ხატია, ჩემი სალოცავი და ხატებთან უნდა იყოს“.

„რამაზ, ძალიან ლამაზი გოგოა ეს შენი ნინი და... რამდენი წლის არის? ან შენ რამდენის ხარ?!“ — ფრთხილად ჰკითხა №0578-მა.

„მე 24-ის, ორი წლით არის ჩემზე პატარა. მაგას რა მნიშვნელობა აქვს?!“ — დაიძაბა რამაზი.

„რა და, უყურე — შენ რვა წელი გაქვს, ორია ზიხარ, ანუ აქედან რომ გახვალ, კარგი 30 წლის მუტრუკი იქნები. ეგ შენი ნინი კი 28-ის. ვინ არის იმის გარანტორი, რომ ისევ ისე გეყვარება და უეჭველი ცოლად მოიყვან? ანუ იცი, რას გეკითხები? ვინ დააჯერებს მაგ გოგოს, რომ შენ, აქედან რომ გახვალ, ვიღაც ნაბოზვარი არ გეტყვის, ნინიმ ან გიღალატა, ან სხვასთან გაიარა და შენ არ დაუჯერებ?! ანუ, ეს გოგო უნდა გელოდოს და გელოდოს გაურკვეველი მომავლით, ხომ?!“ — დაუკონკრეტა №0578-მა.

„ვერ მივხვდი, რას მეუბნები? რას ჰქვია, გაურკვეველი მომავლით?! ყველამ იცის, რომ მიყვარს, ჩემებმაც, მაგისიანებმაც... ჩათვალე, ცოლია, რა. და იმ ნაბოზვარს, ვინც მაგას მეტყვის, ყელს გამოვჭრი“, — აშკარად გაბრაზდა რამაზი.

„მომისმინე, მარტივ გამოსავალს გეტყვი — პატიმრებს ხელისუფლება შეღავათებს გვიწევს, სულ რაღაც ათი ლარი ღირს ხელის მოწერა. დაურეკე ნინის, ოფიციალურად მოაწერეთ ხელი, ცოლ-ქმარი დაგერქმევათ და როცა აქედან გახვალ, თაფლობის თვეც გექნებათ და სხვა რამეც. გესმის, რას გეუბნები? შეყვარებული კი არა, ცოლი ერქმევა და მორჩა. ისიც მშვიდად იქნება, გარეთ შეყვარებულს კი არა, ქმარს დაელოდება და შენც“, — უთხრა №0578-მა.

„აუ, შენზე ამბობდნენ მოზგიაო და ეგ რა მაგარი რაღაც მოიფიქრე. ახლავე დავრეკავ და... ძმა ხარ რა, ძმა... რაც გინდა, მთხოვე“, — თქვა რამაზმა და კამერიდან გავარდა.

„აი, ახლა მაყურებლებმა ვინმე დააყენონ ტელეფონებთან, ამან ყურმილი რომ არ დაამტვრიოს და უტელეფონოდ არ დავრჩეთ“, — უთხრა №0578-მა რამაზის თანასაკნელებს და ისინიც კამერიდან მაშინვე გავიდნენ.

რამაზი უკან ათ წუთში წაშლილი სახით დაბრუნდა. დაინახა, რომ №0578 ისევ მის საკანში იყო, გაოცებით დააკვირდა, თითქოს რაღაცას იხსენებსო, მერე ნარზე პირქვე დაემხო და ჯერ ნელა, შემდეგ კი ბოლო ხმაზე ატირდა. აგონია დაახლოებით ნახევარ საათს გაგრძელდა. შემდეგ რამაზმა თავი წამოწია, №0578-ს შეხედა და ხრინწიანი ხმით ჰკითხა: „შენ რამე იცი და ბოლომდე არ მეუბნები?!“

„რაო ნინიმ?!“ — თითქოს არც გაუგონია შეკითხვა, აქეთ ჰკითხა №0578-მა.

„ვერ დაგელოდები, მაპატიე, აღარ დამირეკოო“, — ჩუმად თქვა რამაზმა და ტირილის მეორე სერია დაიწყო. ამჯერად უფრო ხანმოკლე.

„მომისმინე, რამაზ! თხოვდება ეგ შენი ნინი ვიღაცას მიჰყვება და დამიჯერე, ამაში ისეთი არაფერია, მარტო შენ რომ გადაგხდენია და სხვას არავის. ოთხ კედელში ვართ ჩაკეტილები და ვერაფერს შევცვლით. უბრალოდ, ღრმად ჩაისუნთქე და დაიკიდე ეს ამბავი. ვიცი, ძნელია, მაგრამ 6 წელი გაქვს წინ და დაიკიდე, რა. აქ უნდა გადარჩე, იმიტომ უნდა გადარჩე, რომ მერე გახვიდე და ნინიზე კარგი გოგო იპოვო და მოიყვანო, გესმის?!“ — ეუბნებოდა №0578, მაგრამ რამაზი თითქოს არ უსმენდა, სივრცეში იხედებოდა.

„ჰო, უნდა გადავრჩე. ეს ერთადერთია, რასაც გულით მეუბნები, თორემ ის, რომ ღალატი ჩვეულებრივი ამბავია, შენც არ გჯერა მაგის. შენ აპატიებდი? შენ არ მოსთხოვდი პასუხს?!“ — აქეთ ჰკითხა რამაზმა და №0578-მა არაფერი უპასუხა, უხმოდ გავიდა საკნიდან.

იმ ღამეს რამაზმა თვითმკვლელობა სცადა, ღამის ორ საათზე „პარაშაში“ ჩამოეკიდა, მაგრამ მაყურებლებს სხვები გაფრთხილებული ჰყავდათ და როგორც კი ერთი წუთის შემდეგ რამაზი არ გამოვიდა, კარი შეუღეს და თოკიდან ჩამოხსნეს. მერე და მერე ყველაფერი დალაგდა, ნინიზე ჯერ ნელა, მერე აშკარად ხუმრობდნენ. „იფიქრა ალბათ იმ გოგომ, რამაზას გაყოლას, რიონს გავყვე ჯობია, შავ ზღვას მაინც ვნახავო“, — ასე გაეხუმრნენ ერთხელ რამაზის სახალხოდ და მას შემდეგ ნინიც და ეს ისტორიაც ნელ-ნელა დავიწყებას მიეცა.

ხელისუფლების ცვლილების შემდეგ სხვებთან ერთად ერთი მეოთხედი რამაზისაც მოაკლეს და ციხიდან ორი წლით ადრე გავიდა. მეორე დღეს ყოფილ შეყვარებულს სახლთან დახვდა და ფეხში დანა ორჯერ ჩაარტყა. ფეხში იმიტომ, რომ გოგომ როგორც კი დაინახა, მაშინვე გაიქცა, რამაზი დაედევნა, ორივე წაიქცა და სანამ გამვლელები მიეხმარებოდნენ, რამაზმა დანის მოქნევა მოასწრო. ახლა ისევ სასჯელს იხდის და... „რომ გავალ, შურს მაინც ვიძიებ“, — ასე ამბობსო, უთხრეს №0578-ს ნაცნობებმა ზონიდან.

ვერსიანიუსი

საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა თურქეთის მოქალაქეები დააკავეს

შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა 1983 წელს დაბადებული, თურქეთის მოქალაქე ტოფაკ ო. საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მიგრანტის უკანონო გადაყვანის ბრალდებით, ხოლო ასევე თურქეთის მოქალაქე, 1979 წელს დაბადებული ქენან დ. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდებით სარფის საბაჟო გამშვებ პუნქტში დააკავეს.

საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა სარფის საბაჟო გამშვები პუნქტის ნეიტრალურ ზონაში, თურქეთის მოქალაქე ტოფაკ ო-ს კუთვნილი ავტომანქანა „ფორდის“ დათვალიერებისას შენიშნეს, რომ ავტომანქანის სალონში ჩალაგებულ ტანსაცმელს შორის მგზავრი იყო დამალული. სამართალდამცველებმა მძღოლიც და მისი მგზავრიც შეაჩერეს და შესაბამისი სამართლებრივი პროცედურების ჩატარების შედეგად დააკავეს.

გამოძიება ტოფაკ ო-ს მიმართ საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მიგრანტის უკანონო გადაყვანის ფაქტზე (საქართველოს სსკ-ს 19-344-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით), ხოლო მისი მგზავრის მიმართ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 19-344-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

„ვერსიანიუსი“

შსს-ს ანტიკორუფციულმა სააგენტომ ქრთამის აღების ფაქტზე მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი დააკავა

შსს-ს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი ალგეთის თემში — ბალაბეკ გიზბასოვი ქრთამის აღებაში ამხილეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბალაბეკ გიზბასოვმა მოქალაქეს დაუმზადა ყალბი ცნობა, თითქოს აღნიშნულმა მოქალაქემ ამავე თემის სოფლებში მაცხოვრებელი პირებისგან 400 სული წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი — ცხვარი შეიძინა, რის სანაცვლოდაც, ქრთამის სახით მოსთხოვა და გამოართვა 2000 ლარი. დადგინდა, რომ მოქალაქეს აღნიშნული ცნობა შეძენილი წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის წარმომავლობის დასადასტურებლად სჭირდებოდა. სამართალდამცველებმა ბალაბეკ გიზბასოვი ქრთამის აღების ფაქტზე მარნეულის რაიონში დააკავეს.

გამოძიება ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რაც 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს).

„ვერსიანიუსი“

ექსკლუზიური ინტერვიუ სოფიკო ლოლაშვილის საქმის ავსტრიელ გამოძიებელთან

ავსტრიაში გაუჩინარებული ქართველი გოგონას გარდაცვალების იდუმალებით მოცული დეტალები

ლევან ხვედელიძე
სპეციალურად „ვერსიისთვის“ ვენიდან

საქართველოში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ავსტრიაში გაუჩინარებული ქართველი გოგონა მდინარე დონაუში გარდაცვლილი იპოვეს. საიდუმლოებითა და ბურუსითმოცული ისტორია უამრავ კითხვას ბადებს და მათი უმრავლესობა უპასუხოდაა დარჩენილი. ბევრი ვერსია გაჟღერდა სხვადასხვა მედიასაშუალებაში, რადიოსა თუ ტელევიზიაში. მეტიც, ინტერნეტსივრცეში გავრცელდა ინფორმაციები, რომ სოფიკო ლოლაშვილი მოკლეს, მაგრამ ყველაფერთან ერთად ჩემთვის ძალიან დიდი ინტერესი ერთმა ფაქტორმა გამოიწვია — რატომ დადიოდა გერმანულის სასწავლებლად სოფიკო სახლიდან 220 კილომეტრის მოშორებით, როცა ქალაქ ვენაშიც ათასობით კურსი და სასწავლებელია, უკეთესიც და ეფექტურიც? ამ და სხვა კითხვებზე პასუხის მისაღებად, ქალაქ ლინცში, შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურს ვესტუმრე. იქ მისვლა მას შემდეგ გადავწყვიტე, რაც შს სამინისტროს ვენის ოფიციალურმა სამსახურმა ვერანაირი ინფორმაცია ვერ მომცა და ლინცის კრიმინალურ დეპარტამენტში გადამამისამართა — მომხდარს, იქ იძიებენო. ლინცის კრიმინალური პოლიციის თანამშრომელი, ქალბატონი პეტრა დეტჩერი (Petra Datscher), რომელსაც საქმის დეტალების დამუშავება ევალება, „ვერსიას“ ექსკლუზიურად ესაუბრა და შეძლებისდაგვარად გაუმხილა ინფორმაცია, რომლის გასაჯაროებაც ამ ეტაპზე შესაძლებელი და დაშვებულია.

12

ÖSTERREICH

Suche nach Au-Pair

Vermisste Sopiko tot in Donau gefunden?

Sopiko mit der älteren Schwester, kurz vor ihrer Ankunft in Österreich.

Leiche aus Fluss geholt – Mordermittler eingeschaltet

In Grein wurde jetzt ein totes Mädchen aus der Donau geborgen: Die Kripo ist alarmiert.

OÖ. Zwei Wochen lang zitterte die Familie um Sopiko Lolashvili aus Georgien, jetzt kam die erschreckende Nachricht: Bei der Leiche, die am Montagnachmittag aus der Donau bei Grein (OÖ) geborgen wurde, dürfte es sich laut Polizei „mit großer Wahrscheinlichkeit“ um die vermisste 23-Jährige handeln. In den nächsten Tagen soll ein DNA-Abgleich Gewissheit bringen. Die Fahndung nach dem Mädchen läuft bis dahin ungebrochen weiter. Die Mordermittler des LKA OÖ sollen sich jedoch der Causa annehmen.

Offene Fragen. Zwar deutet momentan nichts auf Fremdverschulden hin, dennoch stellen sich im Zusammenhang mit dem Verschwinden der jungen Studentin einige offene Fragen.

Promi-Kreise. Sopiko Lolashvili arbeitete seit Jahresbeginn bei einer Wiener Familie als Au-pair-Mädchen. Sie soll sich dabei in prominenten Kreisen bewegt haben. Am 29. April machte sich die Georgierin mit dem Zug nach Linz auf, um dort einen Deutschkurs zu besuchen. Sopiko wollte am selben Abend wiederkommen – doch im Kurs in Linz tauchte sie nie auf. Die Spur verliert sich in Grein, dort orte te die Polizei das letzte Mal das Handy. Laut Ermittlern war sie bereits einmal in dem Ort – „aus persönlichen Gründen“.

Das Fahndungsfoto der Studentin.

Grein (OÖ) – der letzte bekannte Aufenthaltsort von Sopiko.

Polizeitaucher bargen die Tote.

სოფიკო ლოლაშვილი საქართველოდან ავსტრიაში სამუშაოდ იყო ჩასული. ოპერი გოგონა ვენაში, ერთ-ერთ ოჯახში, მიმდინარე წლის დასაწყისიდან მუშაობდა. ამავდროულად დადიოდა გერმანული ენის კურსებზე სხვა ქალაქში — ლინცში, რომელიც მისი სახლიდან 220 კილომეტრით არის დაშორებული. ავსტრიული გამოცემები იუწყებიან, რომ გოგონა ბევრს მგზავრობდა. ქალაქ გრაინში კი, სადაც ეს სამწუხარო და ბურუსით მოცული ამბავი მოხდა, თურმე ერთხელ უკვე ყოფილა ნამყოფი.

სოფიკო სახლიდან 29 აპრილს გავიდა. არსებული ინფორმაციით, ქალაქ ლინცში არც სასწავლებელში გამოცხადდა და არც სახლში დაბრუნებულა, არადა იმავე დღეს უნდა დაბრუნებულიყო. პოლიცია გაყვა მისი ტელეფონის კვალს. მობილური სიგნალის გადამცემი ანძა მის ბოლო აქტივობას პატარა ქალაქ გრაინში აფიქსირებს.

11 მაისს მდინარე დონაუში გამვლელმა მამაკაცმა შენიშნა ცხედარი და დარეკა პოლიციაში. დეენემის ანალიზმა დაადასტურა, რომ ცხედარი ნამდვილად ეკუთვნის დაკარგულ სოფიკო ლოლაშვილს. 13 დღე გაუჩინარებული გოგონას იდენტიფიცირებისთვის აუცილებელი იყო სწორედ დეენემის ანალიზის პასუხის მიღება.

„ვერსიის“ კითხვაზე, არის თუ არა ახალი ინფორმაციები სოფიკო ლოლაშვილის საქმესთან დაკავშირებით, პეტრა დეტჩერი ამგვარად პასუხობს:

— როგორ მოხდა ეს ყველაფერი ჯერ კიდევ გასარკვევია. კითხვებზე ჯერჯერობით კონკრეტული პასუხები არ გვაქვს, ვინაიდან მიმდინარეობს გამოძიება. ამ ეტაპზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ გვამს არ ეტყობა ძალადობის კვალი, თუმცა ძიება მიმდინარეობს ყველა მიმართულებით.

— სოფიკო მართლა ვენაში ცხოვრობდა?

— დიახ, ვენაში ცხოვრობდა და ის მართლაც მიემგზავრებოდა ლინცში გერმანულის კურსებზე.

— დადასტურდა, რომ ხშირად მგზავრობდა ასე შორს?

— დიახ, ეს არ იყო მისი პირველი მგზავრობა, იგი მართლაც ხშირად მოძრაობდა ლინცის მიმართულებით.

— და რატომ დადიოდა ასე შორს, სამუშაო და საცხოვრებელი ბინიდან 220 კილომეტრის მოშორებით?

— არ ვიცი, ნამდვილად ვერ გიპასუხებთ. გამოძიება ყველაფერს დაადგენს. ყველა დავკითხეთ: ოჯახის წევრები, მეგობრები, ნაცნობები და ჯერ-ჯერობით ამაზე ვერ გიპასუხებთ. არ ვიცით რატომ დადიოდა ქალაქ ლინცში სასწავლებლად და ვერც იმას გეტყვით, იმ ეტაპზე რატომ იმყოფებოდა სოფიკო ქალაქ გრაინში.

— როგორ მიაკვლიეთ მის ცხედარს?

— გამვლელმა მამაკაცმა მდინარე დონაუს სანაპიროზე სეირნობისას შენიშნა ქალის უსიცოცხლო ცხედარი და სასწრაფოდ დარეკა პოლიციაში. დეენემის ანალიზმა და ობდუქციის (გვამის გაკვეთა) ჩატარებამაც დაადასტურა, რომ გვამი სოფიკოს ეკუთვნის. ტარდება ტოქსიკური ანალიზი და რამოდენიმე კვირაში იქნება პასუხი.

ქალბატონი დეტჩერი დაგვპირდა, რომ გამოძიების მსვლელობის შესახებ ოპერატიულად მოგვაწვდის ინფორმაციას და ასევე გვაცნობებს ყველა ანალიზის პასუხს, როგორც კი დასკვნები მზად იქნება.

ახლახან, მედიამ გაავრცელა ასეთი ინფორმაცია — ოჯახი დარწმუნებულია, რომ სოფიკოს თავი არ მოუკლავს. გოგონას ჰყავდა თაყვანისმცემელი გერმანიაში და, შესაძლოა, იგი მას ავსტრიაში, ქალაქ გრაინში შეხვდა. შესაძლოა, ისინი ამ შეხვედრაზე წინასწარაც იყვნენ შეთანხმებულები. ოჯახს აინტერესებს, როგორ მოხვდა გოგონა ქალაქში, რომელიც სასწავლებლიდან 40 კილომეტრის მოშორებითაა, რას აკეთებდა და რა უნდოდა იქ?

იმედია, ყველა ამ კითხვაზე პასუხს, გამოძიება გასცემს. „ვერსია“ კი, ქართველი გოგონას გარდაცვალების შესახებ ახალ ინფორმაციებს, ავსტრიიდან, ოპერატიულად, ექსკლუზიურად მოგაწოდებთ.



პუტინს ძეგლი დაუდგეს

რუსეთის პრეზიდენტის ქანდაკება ქვეყნის ყველა ქალაქში იქნება?

თეთრი გადასაფარებელი უკვე გადახდილია, კაზაკები პატივს მიაგებენ ძეგლს, ისმის რუსეთის ჰიმნი. „ეს ძეგლი ჩვენი რუსული დემოკრატიის სიმბოლოა“, — უცხადებს დაბნეულ ჟურნალისტებს სანკტ-პეტერბურგის კაზაკური საზოგადოება „ირიბისის“ ატამანი ანდრეი პოლიაკოვი.

16 მაისს, ამ არატრივიალური ძეგლის გახსნას, 10 ყაზახური გაერთიანების წარმომადგენლები და დაახლოებით იგივე რაოდენობის ჟურნალისტები დაესწრნენ. ამაში გასაკვირი არაფერია, თუ არ გავითვალისწინებთ იმ გრძელ გზას, რომლის გავლაც სტუმრებს ცერემონიაზე დასასწრებად მოუწიათ — პუტინის ძეგლის გახსნის ცერემონია გაიმართა ატამან პოლიაკოვის და „ირიბისის“ პირად ტერიტორიაზე პატარა დასახლებაში, სოფელ აგალატოვთან ახლოს, სანკტ-პეტერბურგიდან რამდენი ათეული კილომეტრის მოშორებით. **„ძეგლი აქ გაიხსნა, რადგან სხვა შემთხვევაში თანხმობის მოსაპოვებლად დიდი დრო დაგვჭირდებოდა, ჩვენ კი მოცდა აღარ შეგვეძლო“,** — ახსნა ატამანმა.

მასპინძლის სიჩქარე ნამდვილად მოგხვდებოდათ თვალში, რადგან ტერიტორიის გარშემო ახლადმოხნული მიწა, ფიცრები და დაუმთავრებელ ეკლესიის ნაგებობა მდებარეობს, სადღესასწაულო სუფრის სკამების როლს კი მორები და ფიცრები ასრულებდა.

ვლადიმერ პუტინის ძეგლის გახსნის იდეა პოლიაკოვს გაუჩნდა ყირიმის ანექსიის შემდეგ, რასაც ის „ჩვენი რუსული მიწების დაბრუნებას“ ეძახის და ბერლინის კედლის დანგრევას ადარებს. რუსეთის პრეზიდენტის ძეგლის შექმნისას ბევრი ვარიანტი არსებობდა. მაგალითად, ისინი ფიქრობდნენ, პუტინი სამხედრო ფორმაში „გამოეწყოთ“ ან მისთვის მონომახის ქუდი დაეხურათ.

ყირიმში რუსეთის პრეზიდენტის ქმედებებით ასევე აღფრთოვანებულია მოულოდნელად გამოჩენილი შანსონების მომღერალი სტას ბერეცკი. **„პუტინი თვითონაც 90-იანელია, ისეთი „ძმაა“, „აახია“ ძველბიჭურად ყველას ყირიმი და კარგადაც მოიქცა. 90-იანებში ზუსტად ასე იქცეოდნენ, როდესაც ვიღაცის ფირმა არ მუშაობდა კარგად ან პირიქით, როდესაც ძალიან კარგად მუშაობდა...“,** — ასე მარტივად და გასაგებად აღწერს ბარეცკი იმას, რაც ნახევარკუნძულზე მოხდა არც ისე დიდი ხნის წინ.

მუსიკოსი აცხადებს, რომ ანდრეი პოლიაკოვს ზუსტად 90-იანი წლებიდან იცნობს, მაგრამ ძეგლის გახსნაზე მოსვლის მიზეზი მხოლოდ ეს არ ყოფილა. **„ეს უნიკალური მოვლენაა, რომლის გამოტოვებაც სისულელე იქნებოდა“,** — ამბობს ბერეცკი და ალბათ გარშემომყოფებისთვის იმის ასახსნელად, თუ რამდენად მნიშვნელოვანი მოვლენა ხდება მათ თვალწინ, აგრძელებს: **„დღეს მე ასევე დამპატიჟეს პიტერში ეროტიკის ფესტივალზე, თუმცა აქ მოსვლა ვამჯობინე, რადგან მიმაჩნია, რომ ესაა პირველი ნაბიჯი იმისკენ, პუტინის ძეგლი რუსეთის ყველა ქალაქში გაიხსნას“.**

იმის გააზრება, ნათქვამიდან რა უფრო გაკვირვებს, პრეზიდენტის ძეგლის დადგმა, ამ ფაქტის ეროტიკის ფესტივალთან შედარება თუ რუსეთის პირველი პირის ძეგლის დადგმა ქვეყნის მასშტაბით, ფაქტობრივად, შეუძლებელია.

ცერემონია სულ უფრო სურეალური ხდება, რაც გარშემომყოფებს ახალ აღმოჩენებს აკეთებინებს. **„პრეზიდენტის პოსტის დატოვების შემდეგ, შესაძლებელია, ჩვენმა ერმა, მათ შორის კაზაკებმა, ის იმპერატორი გახადონ. მაშინ პუტინი რუსეთის ერს წარმოადგენდა, მაგალითად პარლამენტში“,** — უკვე აღარც გვაკვირვებს პუტინისთვის წარმოდგენილი სამომავლო პერსპექტივებით პოლიაკოვი.

ატამანის გეგმებშია კიდევ ერთი ძეგლი. იგი მიეძღვნება კაზაკებს სანკტ-პეტერბურგიდან, რომლებიც დონბასში საომარ მოქმედებებში მონაწილეობდნენ. მათ მონაწილეობაში პოლიაკოვს ეჭვი არ ეპარება და ამბობს, რომ ძეგლისთვის იქ დაღუპული კაზაკი ბიჭის სახე იქნება გამოყენებული.

ამ უცნაური და გასაკვირი გამოსვლების და განცხადებების შემდეგ, ბოლოს როგორც იქნა ხდება ყველაზე ორდინალური და მოსალოდნელი რამ: იმპოვიზირებულ სცენაზე გამოდის პატარა კაზაკური ანსამბლი, რომელიც ხალხურ სიმღერებს ასრულებს. მალე იშლება ტრადიციული სუფრა სალათებით, არყით და დესერტით. თუმცა საღამო მაინც ისევე არაორდინალურად მთავრდება, როგორც დაიწყო. სტატს ბერეცკი, რომელიც უკვე მიახლოებოდა ჭიშკარს, კიდევ ერთხელ მოავლებს თვალს პუტინის ძეგლს, პირჯვარს იწერს და ეზოდან გადის.

რუსუდან ხავთასი

„11 კათხის“ დირექტორი „დინამო არენის“ ხელმძღვანელობის წინააღმდეგ

დავით ტრაპაიძე რომან ფიფიას კომპანიას ხელშეკრულების უსაფუძვლო დარღვევაში ადანაშაულებს და მათი საქმიანობის შესწავლას ითხოვს

ლაშა დვალი

„დინამოს“ სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე კაფე-ბარი „11 კათხა“ შესაძლოა მისასვლელი გზის გარეშე დარჩეს, რაც ელემენტარული სახანძრო უსაფრთხოების წესების დარღვევასთან ერთად, ნაგებობის სრულ იზოლირებას და კაფე-ბარის ფუნქციონირების საბოლოო შეწყვეტას გამოიწვევს. „11 კათხის“ დირექტორი დავით ტრაპაიძე, რომელიც „დინამო არენის“ ხელმძღვანელობას ხელშეკრულების უსაფუძვლოდ შეწყვეტაში ადანაშაულებს, ქალაქის მერიისგან აღნიშნულ ფაქტზე რეაგირებას და „დინამო არენის“ ხელმძღვანელობის საქმიანობის შესწავლას ითხოვს. დავის დეტალებზე დავით ტრაპაიძე თავად გვიამბობს:

— ბატონო დავით, რა არის თქვენსა და „დინამო არენას“ შორის დავის საგანი?

— 450 კვ/მ. მიწის ნაკვეთი, რომელიც თბილისის მთავრობის 2011 წლის დადგენილებით, ჩვენს საიჯარო სარგებლობაში 5 წლის ვადით გადმოგვეცა. ნაკვეთი მუშტაიდის ბაღის წინ, სტადიონის ცენტრალური შესასვლელის კუთხეში მდებარეობს და მეორე მხრიდან აბრეშუმის მუზეუმი ესაზღვრება.

— რა წარმოადგენდა იჯარის მიზანს?

— იჯარის მიზანი გახლდათ დინამოს მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე, ჩვენს სარგებლობაში არსებული კაფე-რესტორან „11 კათხასთან“ მისასვლელი გზის უზრუნველყოფა. საქმე ისაა, რომ მოცემულ კაფე-რესტორანს ამჟამად ალტერნატიული მისასვლელი არ გააჩნია, როგორც ფეხით მოსიარულეთათვის, ისე სამანქანო მოძრაობისთვისაც. სწორედ ამიტომ დაგვითმო თბილისის მთავრობამ თავის დროზე აღნიშნული მიწის ნაკვეთი.

— თუმცა, მოგვიანებით, ეს მიწის ნაკვეთი, სხვა ტერიტორიასთან ერთად, შპს „დინამო არენას“ გადაეცა...

— „დინამო არენა“ ძველ ხელისუფლებასა და თბილისის მერიის ძველ ხელმძღვანელობასთან დაახლოებული ბიზნესმენის, რომან ფიფიას შვილობილი კომპანიაა. 2011 წლის აგვისტოში, იმ დროს, როცა გლდანის მე-8 საპყრობილეში ვიმყოფებოდი, ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ ნება დაერთო სააქციო საზოგადოება „ბორის პაიჭაძის ეროვნულ სტადიონს“, სტადიონის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, შპს „დინამო არენასთან“ უზუფრუქტისა და აღნაგობის უფლების შესახებ გრძელვადიანი ხელშეკრულება გაეფორმებინა. აღნიშნული ხელშეკრულების ვადა 2060 წლის 30 აგვისტომდე პერიოდით, 49 წლის ვადით განისაზღვრა. „დინამო არენას“ ამ ხელშეკრულების საფუძველზე 7 ჰექტარი მიწა გადაეცა, რასაც კაფე-რესტორნამდე მისასვლელი გზაც მიაყოლეს. ამასთანავე ისარგებლეს ჩემი ციხეში ყოფნით და 5-წლიანი ხელშეკრულება იძულებით შეგვაწყვეტინეს. ამის შემდეგ, იურიდიული გამართულობის გამო, იჯარის ხელშეკრულება უკვე „დინამო არენასთან“ გავაფორმეთ.

— „დინამო არენის“ ხელმძღვანელობასთან პრობლემები როდიდან შეგექმნათ?

— ჯერ კიდევ წინა მთავრობის დროს, როცა საპყრობილედან გამოვედი და ამ 450 კვ/მ. მიწის ნაკვეთის გრძელვადიანი უზუფრუქტით გამოყოფა მოვინდომე, „დინამო არენას“ ხელმძღვანელობა კი ხელშეკრულებებს მხოლოდ 3 თვის ვადით გვიფორმებდა. რის გამოც, მუდმივად სტრესის ქვეშ ვიმყოფებოდით და არ ვიცოდით, როდის დაგვაცლევინებდნენ ტერიტორიას. ამ საკითხზე „დინამოს“ იმჟამინდელ გენერალურ დირექტორს, სანდრო შახოვს მივმართე, რომელმაც მიპასუხა — ჭკუით იყავი, თორემ ისევ გლდანში შეგაბრუნებთო. რის შემდეგაც იძულებული გავხდი საერთო ენა „დინამოს“ მფლობელსა და პრეზიდენტთან, რომან ფიფიასთან გამომეძებნა.

— გამონახეთ მასთან საერთო ენა?

— ალბათ გახსოვთ, ახალი მთავრობის მოსვლისთანავე ბიზნესმენებსა და ბიძინა ივანიშვილს შორის გამართული შეხვედრა, სადაც ივანიშვილმა ბიზნესმენებს თავიანთი პრობლემებისა და გაუგებრობების სასამართლოს გარეშე მოგვარებისკენ მოუწოდა. ამ შეხვედრიდან ერთ კვირაში რომან ფიფია თავად დამიკავშირდა და ჩვენ ერთმანეთს შევხვდით. მაშინ ფიფია დამპირდა, რომ ვითანამშრომლებდით და არავითარი პრობლემა ჩვენს შორის არ იქნებოდა. მიუხედავად ამ დაპირებისა, თვე თვეს მისდევდა, მაგრამ ფიფია ერთ თვეზე გრძელვადიან ხელშეკრულებას მაინც არ გვიფორმებდა. რაღაც პერიოდის შემდეგ, საქართველოდან საერთოდ გაქრა, დაბრუნების შემდეგ კი, მისი მითითებით, „დინამო არენას“ ხელმძღვანელობამ ჩვენი შევიწროვება დაიწყო. 2014 წლის აგვისტოში კი, იჯარის გადაუხდელობის უსაფუძვლო მიზეზით, საიჯარო ხელშეკრულების მოქმედების ვადა აღარ გაგვიგრძელა და ჩვენს სარგებლობაში არსებულ კაფე-რესტორანის შენობასთან მისასვლელი საიჯარო გზა გადაკეტა, რითიც შენობასთან მისვლის ერთადერთი შესაძლებლობა მოგვისპო. ჩვენ თხოვნით მივმართავთ ქალაქის მერიას შენობასთან მისასვლელი გზა უზუფრუქტისა და აღნაგობის ხელშეკრულებით „დინამო არენის“ განკარგვის უფლებამოსილებიდან ამოიღოს და პირდაპირი წესით მესაკუთრის მიერ სარგებლობაში გადმოგვცეს.

— ქალაქის მერს „დინამო არენის“ საქმიანობის შესწავლის მოთხოვნითაც მიმართეთ. კონკრეტულად რა დარღვევებზე გაქვთ საუბარი?

— უზუფრუქტისა და აღნაგობის უფლების შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მიხედვით (რომელიც ქალაქის მერიასთან ჯერ კიდევ უგულავას დროსაა გაფორმებული), დინამოს სტადიონი უნდა მოწყობილიყო უეფასა და ფიფას მოთხოვნების შესაბამისად. წინააღმდეგ

ვერსიანიუსი

შსს-მ უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს ბაღდათის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1971 წელს დაბადებული ზაზა ჩ. ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით, ბაღდათის რაიონის სოფელ დიმში დააკავეს.

სამართალდამცველებმა ბრალდებულის მართვის ქვეშ მყოფი ავტომობილის ჩხრეკისას „კალაშნიკოვის“ სისტემის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 1 მჭიდი და 16 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს. ბრალდებულის საცხოვრებელი სახლიდან კი ამოღებულია: 134 ცალი საბრძოლო ვაზნა, გადაჭრილი ცეცხლსასროლი შაშხანა, ქარხნული წესით დამზადებული BLOW COMPACT MOD 2002-ის მოდელის პისტოლეტი და 1 მჭიდი, ქარხნული წესით დამზადებული „ერ-კა-გე-ზე-ე-ემ 4879“-ის ტიპის კუმულაციური ხელყუმბარა და „კალაშნიკოვის“ სისტემის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღისთვის განკუთვნილი 5 მჭიდი. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილებით).

„ვერსიანიუსი“

შსს-ს სასაზღვრო პოლიციამ ნაოსნობის წესების დარღვევის ფაქტზე პანამის დროშით მცურავი მშრალტვირთმზიდი გემი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის და საგამოძიებო-ოპერატიული მთავარი სამმართველოს დასავლეთის ოპერატიული სამსახურის თანამშრომლებმა ნაოსნობის წესების დარღვევის ფაქტზე (ნაოსნობის განსაკუთრებული სიფრთხილის რაიონის გადაკვეთა) პანამის დროშით მცურავი მშრალტვირთმზიდი გემი TRANSFAIR დააკავეს. გემის კაპიტნის მიმართ ნაოსნობის წესების დარღვევის ფაქტზე დაიწყო საქმისწარმოება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 114-ე პრიმა-1 მუხლის 1-ლი ნაწილით. გემის კაპიტანს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა ჯარიმა — 50 000 ლარის ოდენობით. ჯარიმის გადახდის შემდეგ გემს თავისუფალი ნაოსნობის უფლება მიეცა.

„ვერსიანიუსი“

შემთხვევაში შპს. „დინამო არენა“ 250 ათასი დოლარით უნდა დაჯარიმებულიყო. გარდა ამისა, შპს-ს ინფრასტრუქტურის განსავითარებლად, ყოველწლიურად, 850 ათასი ლარი უნდა დაეხარჯა. ჩვენთვის ცნობილია, რომ „დინამო არენა“ არღვევს სახელშეკრულებო პირობებს, არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, თუმცა ამ კომპანიის მიმართ არ ჩატარებულა კონტრაქტით გათვალისწინებული სანქციები. ამის ხელშემწყობ მიზეზად კი ის გარემოება მიგვაჩნია, რომ რომან ფიფია ძველ ხელისუფლებასა და ნაციონალურ მოძრაობასთან დაახლოებული და დაკავშირებული ბიზნესმენია, რომელსაც, როგორც წესი, ყველანაირ დარღვევას პატიობდნენ. უფრო მეტიც, ჩვენთვის ცნობილია ისიც, რომ თბილისის მერიის მხრიდან სხვადასხვა წლებში „დინამო არენას“ რამოდენიმე მილიონი ლარი ერიცხებოდა, თითქოსდა სახელშეკრულებო საქმიანობისთვის. თუმცა, რა მიზნით იხარჯებოდა აღნიშნული თანხები, გაუგებარია.

— მოახდინა თუ არა თქვენს განცხადებაზე თბილისის მერიამ რეაგირება?

— თბილისის მერიის მხრიდან ერთადერთი რეაგირება ჩემს განცხადებაზე ის იყო, რომ საქალაქო სამსახურის უფროსმა ბადრი გიორგიძემ წერილობით განმიცხადა — შპს „დინამო არენას“ სახელშეკრულებო ვალდებულებები ნაკისრი აქვს სს „ბორის პაიჭაძის ეროვნული სტადიონის“ და არა შპს „11 კათხის“ წინაშეო. ანუ „ზრდილობიანად“ მიმითითა — „დინამო არენის“ საქმიანობა თქვენი საქმე არ არისო.

— და ბოლოს, რას აპირებთ?

— სასამართლოსაც მივმართეთ, შემდეგ გადაწყვეტილება უზენაეს სასამართლოშიც გავასაჩივრეთ, თუმცა იქ გაგვიცხადეს, რომ თურმე ერთი დღით ბაჟის გადახდა დაგვაგვიანდა, რაც არ შეესაბამება სიმართლეს. რას უნდა ველოდეთ?! ველოდებით, რომ საქმე სააღსრულებლოს გადაეცემა, მოვლენ და აქედან გამოგვყრიან და 25 თანამშრომელი, რომელთა უკან ოჯახები დგას, უმუშევარი დარჩება.

კლინტონების კლანის კორუფციული გარიგებები და გამდიდრების სქემა

რა მაკომპრომეტირებელი მასალები გაუვრცელეს ჰილარი კლინტონს და როგორ ფინანსდება პრეზიდენტობის კანდიდატის საქველმოქმედო ფონდი

ჰილარი კლინტონი ახალი სკანდალის ეპიცენტრში აღმოჩნდა — ამერიკულმა წამყვანმა გამოცემებმა ერთმანეთის მიყოლებით გამოაქვეყნეს კლინტონების წყვილის მაკომპრომეტირებელი სტატიები. საქმე ეხება კლინტონის საქველმოქმედო ფონდს, მასში განხორციელებულ მრავალმილიონიან შემოწირულობებს და კლინტონების შესაძლო მონაწილეობას სხვადასხვა საეჭვო გარიგებაში. ამ ფონზე, ჰილარი კლინტონის წინასაარჩევნო კამპანია აშკარად საფრთხის წინაშეა — 2015 წლის 12 აპრილს მან განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პირველი პირის სავარძლისთვის იბრძოლებს. დღეს კი, ამერიკაში აქტუალურია კითხვა: აქვს ჰილარი კლინტონს უფლება, საპრეზიდენტო არჩევნებში საკუთარი კანდიდატურა წამოაყენოს?

ჯერ კიდევ აპრილში, სენატორმა **რენდ პოლმა**, რომელიც 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე კანდიდატია რესპუბლიკური პარტიიდან, ამგვარი განცხადება გააკეთა: **„ბევრს აწუხებს კითხვა: ხომ არ ახდენს გავლენას ჰილარი კლინტონის გადაწყვეტილებებზე ის, რომ იგი იღებს ფულს სხვადასხვა წყაროდან? მალე ცნობილი გახდება კლინტონის ფონდსა და უცხოური კომპანიებიდან შემოწირულობების შესახებ, რომლებსაც მხარს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტიც უჭერს. გამოაშკარავდება დეტალები, სინამდვილეში რა ხდებოდა ფონდში და მის გარშემო. ხალხი შოკში იქნება და ლოგიკურად გაჩნდება კიდევ ერთი კითხვა: აქვს კი უფლება ჰილარი კლინტონს, ამერიკის პრეზიდენტობაზე ამბიცია ჰქონდეს“.**

სიახლეები მართლაც მალევე გამოჩნდა. წამყვანმა ამერიკულმა გამოცემებმა — „ნიუ-იორკ თაიმსი“, „უოლ სტრიტ ჯორნალი“ და „ვაშინგტონ პოსტი“ — 2015 წლის მაისში, პრაქტიკულად, ერთდროულად გამოაქვეყნეს სტატიები კლინტონების გარიგებების შესახებ, დღის სინათლე იხილა ასევე პიტერ შვეიცერის წიგნმა სახელწოდებით „კლინტონების ფული“.

„2000 წელს ბილ და ჰილარი კლიტონების ვალი აღწევდა მილიონობით დოლარს. იმ წუთიდან დღემდე კი, მათ გამოიმუშავეს 130 მილიონ დოლარზე მეტი. საიდან გაჩნდა ეს თანხა? ბევრი მიიჩნევს, რომ კლინტონებმა ქონება სხვადასხვა სარფიანი გარიგების წყალობით დააგროვეს, ისინი ფულს იღებდნენ წიგნების წერაშიც და სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ღონისძიებაზე გამოსვლებშიც კი. პიტერ შვეიცერმა იპოვა წყაროები, რომელთა ხარჯზეც გამდიდრდნენ კლინტონები. წიგნში, სახელწოდებით „კლინტონების ფული“ ის იმ კვალს მიყვა, რომლითაც კლინტონების ფონდში კოლოსალური თანხები ირიცხებოდა. მანვე გამოააშკარავა წყვილის კავშირი უცხოელ „საუკეთესო მეგობრებთან, ჩინოვნიკებთან“.

შვეიცერმა გამოააშკარავა კლინტონების ფარული გარიგებები ჰაიტიზე, ყაზახეთში, კოლუმბიასა და მსოფლიო ეკონომიკის სხვა „ველურ შემოგარენში“. წიგნი „კლინტონების ფული“, სავსეა უამრავი წყაროს გულახდილი, სკანდალური აღიარებით, რაც ერთობლიობაში სერიოზულ კითხვებს აჩენს და იმაზეც დაგვაფიქრებს, უწყობენ თუ არა კლინტონები ამერიკაში უცხოური ინტერესების გატარებას ხელს და არიან თუ არა ის პირები, ვინც შეიძლება ამერიკაში მაღალი თანამდებობები დაიკავონ, მით უმეტეს — მოკალათდნენ ქვეყნის პირველი პირის სავარძელში.

ერთ-ერთი ყველაზე მძიმე დარტყმა ჰილარი კლინტონს „ნიუ-იორკ თაიმსმა“ მიაყენა. ჟურნალისტურ მოკვლევაში, რომელსაც საფუძვლად შვეიცერის წიგნი უდევს, ფაქტობრივად დასტურდება, რომ კლინტონების ფონდი დაეხმარა რუსულ კორპორაცია „როსატომს“, ამერიკის ურანის მარაგი მისთვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო. იგულისხმება კანადის კომპანია Uranium One-ის შეძენა „როსატომის“ მიერ — დღეს, „როსატომის“ შვილობილი კომპანია „ატომრედმეტზოლოტო“ Uranium One-ის 100%-ს ფლობს.

„ნიუ-იორკ თაიმსის“ სტატიაში აღნიშნულია, რომ Uranium One-ის ხელმძღვანელებმა, ასევე პირებმა, რომლებიც ჩართულები იყვნენ კომპანიის გაყიდვაში, სოლიდური თანხებით დააფინანსეს კლინტონების საქველმოქმედო ფონდი. კერძოდ, ფრენკ გისტრამ, კომპანია UrAsia Energy-ის დამფუძნებელმა (ეს კომპანია გაერთიანდა Uranium One-სთან), გამოყო 31,3 მილიონი დოლარი კლინტონების ფონდისთვის; Uranium One-ის დირექტორთა საბჭოს ხელმძღვანელმა ნენ ტელფერმა, „როსატომის“ მიერ ამ კომპანიის „შთანთქმის“ პროცესში, კლინტონების ფონდში 2,35 მილიონი დოლარი გადარიცხა; კომპანია US Global Investors-ის აღმასრულებელმა დირექტორმა ფრენკ ჰოლმსმა კი (2011 წლის I კვარტალში ფლობდა Uranium One-ის 4,7 მილიონი დოლარის ღირებულების აქციებს) ფონდში 250-დან 500 ათასამდე დოლარი გადარიცხა.

„ნიუ-იორკ თაიმსის“ ინფორმაციით, „როსატომმა“ აღნიშნული კომპანიის შეძენის შესახებ როგორც კი საჯაროდ გამოაცხადა, ამერიკის ყოფილმა პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა, მოსკოვში სიტყვით გამოსვლისთვის, 500 ათასი დოლარი მიიღო გარიგების ერთ-ერთი მონაწილისგან — ბანკ „რენესანს კაპიტალისგან“.

„უოლ სტრიტ ჯორნალში“ „ურანის გარიგების“ საკითხი და ამ გარიგებაში კლინტონების როლი გაცილებით დეტალურადაა გაშლილი. გამოცემაში აღნიშნულია, რომ Uranium One-ის 51%-ის 610 მილიონ დოლარად გაყიდვას, 2010 წელს მხარი ამერიკის ერთ-ერთმა ფედერალურმა კომიტეტმა დაუჭირა, რომელიც უცხოური ინვესტიციების რისკფაქტორებს აფასებდა. ამ კომიტეტის შემადგენლობაში კი შედიოდა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, რომელსაც მაშინ ჰილარი კლინტონი ხელმძღვანელობდა.

„უოლ სტრიტ ჯორნალი“ ასევე შეეხო კლინტონების ფონდის გამდიდრების საკითხს. გამოცემის აზრით, ეს ფაქტი შესაძლოა დაკავშირებული იყოს ჰაიტიზე მიწისძვრასთან. მიწისძვრის შემდეგ, ირლანდიელმა მილიარდერმა დენის ო'ბრაიენმა, რომლის კომპანიაც კუნძულზე აღდგენით სამუშაოებს ატარებდა, კლინტონების ფონდში გადარიცხა 5-დან 10 მილიონ დოლარამდე.

„ვაშინგტონ პოსტი“ კლინტონების ფონდის შემოწირულობების სქემას დეტალურად შიფრავს. გამოცემის მტკიცებით, ფონდმა სოლიდური თანხა (11,5 მილიონი დოლარი) მიიღო ისეთი მსხვილი ფინანსური კომპანიებისგან, როგორიცაა: Barclays Capital, Citigroup, Deutsche Bank და Goldman Sachs.

გამოქვეყნებული ინფორმაციის დიდი ნაწილი მანამდეც გახდა ცნობილი. ბილ კლინტონისა და ფრენკ გისტრას კავშირის შესახებ „ნიუ-იორკ თაიმსი“ ჯერ კიდევ 2008 წელს წერდა. 2014 წელს კი, „ვაშინგტონ პოტსმა“ გამოაქვეყნა სტატია, რომლშიც აღწერილი იყო, რას ითხოვდნენ ბილ და ჰილარი კლინტონები თითო გამოსვლაში. აქაც საუბარია იმაზე, რომ კლინტონების საქველმოქმედო ფონდმა მიიღო შემოწირულობა კანადური კომპანია Uranium One-ის ინვესტორებისგან. ეს ხდებოდა 2009-2013 წლებში, როცა რუსული სახელმწიფო კორპორაცია ეტაპობრივად იგდებდა ხელში კანადურ კომპანიაზე კონტროლის მექანიზმებს. კანადურ დოკუმენტებზე დაყრდნობით, „უოლ სტრიტ ჯორნალი“ წერს, რომ ეს ქმედება არ გასაჯაროებულა, მიუხედავად ჰილარი კლინტონის და თეთრი სახლის მოლაპარაკებისა, რომლის თანახმად, ფონდის ყველა დონორის შესახებ საზოგადოებას უნდა სცოდნოდა.

რუსული ინტერესი ამერიკაში, „ურანის გარიგება“ და ჰაიტის მიწისძვრის შემდეგ მიღებული მილიონები

გარიგების შედეგი ისაა, რომ „როსატომი“ აკონტროლებს ყაზახეთში ურანის შახტებს, რომლებიც მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მომგებიან ადგილად ითვლება. „როსატომს“ ასევე აქვს 20%-იანი წვდომა ამერიკაში ურანის მოპოვებაზე. **„ვაიომინგში შახტების ყიდვა არ იყო მიზანი. მიზანი იყო ყაზახური აქტივების მიღება, რომლებიც ძალიან კარგია“,** — აცხადებს გამოცემასთან ინტერვიუში „როსატომის“ ოფიციალური წარმომადგენელი **სერგეი ნოვიკოვი.**

რადგან ურანი არის სტრატეგიული აქტივი, რომელიც ეროვნულ უსაფრთხოებაზეც ახდენს გავლენას, „ურანის გარიგებას“ „მწვანე შუქი“ სახელმწიფო კომიტეტმა აუნთო, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ამერიკის სხვადასხვა უწყების წარმომადგენლები. მათ შორის იყო სახელმწიფო დეპარტამენტი, რომელსაც 2009-2013 წლებში ჰილარი კლინტონი ხელმძღვანელობდა, წერს გამოცემა და ამ გარიგების პრეისტორიასაც ასაჯაროებს: 2005 წლის სექტემბერში კანადელმა ფინანსისტმა ფრენკ გიუსტრამ შეიძინა ყაზახური აქტივები თავისი კომპანიისთვის. ეს მოხდა, ყაზახეთში ექსპრეზიდენტ ბილ კლინტონის ვიზიტიდან რამდენიმე დღეში. უკვე 2006 წელს, გიუსტრამ კლინტონების ფონდს 31,3 მილიონი დოლარი „შესწირა“; 2007 წლის თებერვალში Urazia გაერთიანდა სამხრეთ აფრიკის სამთო- მომპოვებელ კომპანიასთან და დაერქვა Uranium One. მომდევნო 2 თვეში, კომპანიამ დაიწყო აქტივების შეძენა ამერიკაში. 2008 წლის თებერვალში დაიწყო მოლაპარაკებები ინვესტიციებზე „როსატომთან“. „ნიუ-იორკ თაიმსი“ აღნიშნავს, რომ 2008-2010 წლებში, Uranium One-ის ინვესტორებმა, რომლებსაც სარგებელი უნდა ენახათ რუსული ინვესტიციებიდან, გადაურიცხეს კლინტონების ფონდს 8,65 მილიონი დოლარი; 2009 წლის ივნისში, „როსატომის“ შვილობილმა კომპანიამ „ავტომედმეტზოლოტო“ შეიძინა Uranium One-ის 17%. ამ პერიოდში, კლინტონების ფონდში კანადური კომპანიის შემოწირულობამ მილიონ დოლარს გადააჭარბა;

2010 წლის ივნისში, „როსატომმა“ გადაწყვიტა, Uranium One-ის საკონტროლო პაკეტი ეყიდა. სწორედ ამისთვის გახდა საჭირო ამერიკული ფედერალური კომიტეტის მხარდაჭერა. არადა, „როსატომი“ ირწმუნებოდა, რომ კომპანიაში თავის წილს არ გაზრდიდა და მის პრივატიზებასაც არ მოახდენდა; 2010 წლის 29 ივნისს, ბილ კლინტონი სიტყვით გამოვიდა მოსკოვში, ინვესტორების ყოველწლიურ კონფერენციაზე. ღონისძიების ორგანიზატორი ბანკი „რენესანს კაპიტალი“ იყო. სწორედ მისი ანალიტიკოსები უწევდნენ რეკომენდაციებს Uranium One-ის აქციების გაყიდვას. აღნიშნულ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისთვის, ყოფილმა პრეზიდენტმა ჰონორარის სახით 500 ათასი ამერიკული დოლარი მიიღო. „ნიუ-იორკ თაიმსს“ „რენესანს კაპიტალის“ წარმომადგენელმა კომენტარზე უარი განუცხადა. შესაბამისად, არც იმაზე ისაუბრა, როგორ დაიბადა კონფერენციაზე კლინტონის მიწვევის, სიტყვით გამოსვლის იდეა და ეს ყველაფერი არის თუ არა კავშირში „როსატომთან“ გარიგებასთან; 2010 წლის ოქტომბერში, „როსატომის“ მიერ Uranium One-ის საკონტროლო პაკეტის შეძენას ფედერალურმა კომიტეტმა მხარი დაუჭირა; 2013 წლის იანვარში კი, მისმა შვილობილმა „ავტომედმეტზოლოტომ“ დარჩენილი აქციები შეიძინა და კომპანიის ერთპიროვნული მმართველი გახდა.

ამერიკის წამყვან გამოცემებში დაბეჭდილი სტატიების შემდეგ, საინტერესოა, არსებობს თუ არა ამერიკაში დამოუკიდებელი იუსტიცია, რომელიც შეძლებს, საკადრისი პასუხი გასცეს კლინტონების მაფიოზურ კლანს. თუმცა, ერთი უკვე ნათელია: გაფუჭებულ საქმესა და იმიჯს ვერ გამოასწორებ, თუნდაც სამმილიარდიანი ფონდი გქონდეს.

ნინო ლურსმანაშვილი

1 მხატვრ. ტანგარეული ერთ-ერთი იარაღი
2. ესკიმოსთა ქურთუკი
3. იტალიელი ფეხბურთელი
4. სუსტი ქარი, სიო
5. ერთი და იმავე გვარის მეფეთა მონაცვლეობა
6. იგივეა, რაც ოქრომჭედელი
7. ძველ. რუსული სიგრძის საზომი
8. რომის პაპის გვირგვინი
9. ამერიკული ავტომარკა
10. გამოჩენილი იტალიელი მეკარე
11.ძველი ქართული მწერლობის ძეგლი
12. ისრის წვერი
13.მჭადის და ყველის კომბინაცია
14. ფელინის ოსკაროსანი ფილმი
15.ლევან გოთუას „... ვარამი“
16. „ავტომა-ტური ადამიანი“
17. ბალახის ჩრდილი
18. დიდი ბრტყელი თეფში
19. წესიერი ექვსწახნაგა სხეული
20.სახელმწიფოში შესვლის ნებართვა
21.გრძელყელ. გოგრა
22.იგივე შალაშინი
23. სოფელი გულრიფშის რაიონში
24. პან-ტომიმის მსახიობი
25. ცისარ-ტყელას ქალღმერთი
26. საერთაშორისო საავტომობილო ფედერაცია (აბრევიატ.)
27. ლაბორა-ტორიული ჭურჭელი
28. დაკოდილი ცხენი
29. ხაჭაპურის სახეობა
30. სოკოს გამრავლების ორგანო
31. იაზონის ხომალდი
32. ფრანგი კინოვარსკვლავი
33. შინაური თხის წინაპარი
34. მეხიკოს საფეხბურთო სტადიონი
35. თევზის ძვალი
36. იაპონური მულტიპლიკაცია
37. ფრანგი მსახიობი ანი ...
38. ბერძნული ანბანის მერვე ასო
39.ციტრუსოვანი მცენარე
40.გადაშენებული მორბენალი ფრინველი
41.უფლის მიერ შექმნილი ადამიანი
42.სოფლური ქოხი შვეიცარიის ალპებში
43.მარტის ძველქართ. სახელწოდება
44.დაფქვის საზღაური წისქვილში
45. გარეული ვირი
46.იგივეა, რაც ბებია
47. ძალიან პატარა, მცირე
48.გერდას მეგობარი ბიჭუნა
49. ნიგერიის ფულის ერთეული
50. „კბილებიანი“ ბოსტნეული
51. მხატვარი ...-გრეკო
52. იაპონური თეატრის სახეობა
53. ამერიკელი თეორკანიანი რეპერი
54. ზღვაოსანთა კუნძულები
55ერომან. მიყოლებით განლაგებული ოთახები
56.ცხელი მატონიზირებელი სასმელი
57.მთის თუთიყუში
58. უეცარი შიში
59. დედამიწის ქალღმერთი ბერძ.მით.
60. ხმელთაშუა ზღვის ყურე
61.გემის ბოლო ნაწილი
62. საჭადრაკო რეიტინგების ავტორი
63. „თავისუფლების კუნძული“

თევზის ქონი სიგარეტის ეაღაედეჭაში დაეხმარებათ

საკვები დანამატები, რომლებიც ომეგა-3-ს შეიცავს, მწეველებს ამ მავნე ჩვევის დაძლევაში დაეხმარებათ. ცხიმმჟავების მოხმარება ამცირებს ნიკოტინისადმი სწრფვას, — დაადგინეს სწავლულებმა ხაიფას უნივერსიტეტიდან. ექსპერიმენტის დროს, მწეველებმა, რომლებიც ომეგა-3-ს ერთი თვის განმავლობაში იღებდნენ, სიგარეტის მოხმარება 11%-ით შეამცირეს იმათთან შედარებით, ვინც მხოლოდ პლაცებოს მოიხმარდა. ებრაელი მეცნიერები აცხადებენ, რომ ის ნივთიერებები და პრეპარატები, რომელიც სიგარეტისთვის თავის დანებების მიზნით გამოიყენება, არც ისე ეფექტურია და უსიამოვნო შედეგამდეც მივყავართ, რისი გამოსწორებაც მერე რთულია. ომეგა-3 კი არც ისე ძვირი და ყველასთვის ხელმისაწვდომი საკვები დანამატია, თითქმის არ იწვევს გვერდით ეფექტებს და რაც მთავარია, შეუძლია არსებითად შეამციროს ნიკოტინისადმი სწრაფვა. როგორც ცნობილია, მოწევა ტვინში აქვეითებს შეუცვლელი ცხიმმჟავების დონეს, როგორიც, მაგალითად, ომეგა-3-ია, მისი დეფიციტი კი უარყოდითად აისახება ნერვული უჯრედების სტრუქტურაზე და წყვეტს კავშირს ტვინის იმ უბნებთან, რომელიც კმაყოფილებაზეა პასუხისმგებელი. კვლევისთვის სწავლულებმა 48 მწეველზე ჩაატარეს ექსპერიმენტი. მოხალისეების ნახევარს 950 მგ. ომეგა-3-ს აძლევდნენ კაფსულებში, დღეში ხუთჯერ, ერთი თვის განმავლობაში, მეორე ნახევარი კი პლაცებოს იღებდა. ექსპერიმენტის ბოლოს, მათ, ვინც ცხიმმჟავებს იღებდა, სიგარეტის მოხმარება თითქმის ორჯერ შეამცირეს.

დაფეხმძიმებაში სწორი კვება დაგეხმარებათ

სელენი — ბუნებრივი ანტიოქსიდანტია, რომელსაც შეიცავს ცილებით მდიდარი პროდუქტი. სელენის ყველაზე ცნობილი წყაროა ხორცი, ზღვის პროდუქტი, კაკალი. ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქალის ფერტილობისას, — გაარკვიეს ავსტრალიელმა სწავლულებმა ადელაიდას უნივერსიტეტიდან. აღსანიშნავია, რომ ადრე უკვე იყო დადგენილი სელენის დადებითი ეფექტი მამაკაცების ფერტილურობაზე, მაგრამ ქალებზე ამ მხრივ პირველად ალაპარაკდნენ. საერთოდაც, სელენი მეტად მნიშვნელოვანია იმუნური სისტემისთვის, ფარქვეშა ჯირკვლის ჰორმონების გამომუშავებისთვის, თავისუფალი რადიკალების გაუვნებელყოფისა და ორგანიზმიდან ტოქსინების გამოდევნისთვის. აღმოჩნდა, რომ ის ასევე აუცილებელია ფოლიკულის განვითარების გვიანი სტადიის მიმდინარეობითვის, რაც სასიკეთო გარემოს ქმნის კვერცხუჯრედის „წარმოქმნისთვის“. სპეციალისტებმა შეძლეს დადგენა, კვერცხუჯრედში სად მდებარეობს სელენი, შემდეგ კი მათი ყურადღება მიიქცია ცილამ X1. აღმოჩნდა, რომ ამ გენის ექსპრესია საკმაოდ მაღალი იყო კვერცხუჯრედში, რომელსაც ორგანიზმი ორსულობამდე მიყავდა. თუმცა, სწავლულები გვაფრთხილებენ, რომ სელენის ჭარბი რაოდენობა ტოქსიკურ ეფექტს იწვევს, რაც ყოველთვის უნდა გვახსოვდეს.

პაციენტს მენჯის ძვალი „დაუბეჭდეს“

ბრიტანელმა ქირურგმა კრეიგ ჯერარდმა ნიუკასლ-აპონ-ტაინის კლინიკიდან პაციენტს სიცოცხლე შეუნარჩუნა — მას სამგანზომილებიან პრინტერზე ახალი მენჯის ძვალი დაუბეჭდა. ძვლის შეცვლის აუცილებლობა მაშინ დადგა, რაც ავადმყოფს ძვლების აგრესიული კიბო (ხონდროსარკომა) განუვითარდა და მენჯის ძვლის ნახევარი „შეუჭამა“. იმპლნატის გადანერგვის შემდეგ, 62 წლის პაციენტი, მართალია, ჯოხით, მაგრამ სიარულს შეძლებს. როგორც სპეციალისტები აცხადებენ, ამ პროცედურის წარმატება სკანირების სიზუსტემ განაპირობა. თავდაპირველად მედიკოსებმა ზუსტად განსაზღვრეს, რამდენი ძვლის ქსოვილის მოკვეთა იყო საჭირო დაავადების შესაჩერებლად. სამგანზომილებიანი იმპლანტი კი იდეალური აღმოჩნდა, რომელმაც მთლიანად შეავსო წარმოქმნილი სიცარიელე. თავად იმპლანტი ტიტანის ფხვნილისგან „დაბეჭდეს“, რომელიც ლაზერითაა შეკრული. ის მინერალური ნივთიერებებით დაფარეს, რომელზეც დარჩენილი ძვლის ქსოვილი ადვილად შეძლებს შეხორცებასა და ზრდას.

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲛᲐᲜᲘᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

	4			3		6	1	
						5		9
			2			8	3	
2				6				
	1	9				2	8	
				7				1
	2	7			6			
1		3						
	8	6		4			9	

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

	1					4		5
4				2				
	5				1	7	2	
9		6			5		4	
	3		6			9		8
	4	9	7				6	
				8				1
1		7					9	

ᲠᲗᲣᲚᲘ

		2		7		3	9	
			9					
9				2		4	5	
					7	6	3	2
8	5	7	6					
	3	5		4				8
					1			
	9	4		8		7		

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

								5
				1	9	8		
4		2			5	7		
		5			3		7	2
	2			9			8	
8	7		5			3		
		7	4			2		8
		3	9	7				
9								

გაუნათლებელ საქმროზე უარი თქვა

ინდოეთში საცოლემ უარი განუცხადა საქმროს ოჯახის შექმნაზე, რადგან ვერ შეძლო მარტივი არითმეტიკული ამოცანის ამოხსნა. ინციდენტი უტარ-პრადეშის ერთ-ერთ სოფელში მოხდა. როგორ ადგილობრივ პოლიციაში ყვებიან, საპატარძლომ გადაწყვიტა, მომავალი მეუღლის მათემატიკური უნარები შეემოწმებინა და 15-სა და 6-ის შეკრება სთხოვა. 17, — იყო საქმროს პასუხი. ამის შემდეგ საპატარძლომ უარი განაცხადა საქორწინო ცერემონიის ჩატარებაზე და იქურობა მიატოვა. საქმროს ოჯახი დაბრუნებას შეეცადა, მაგრამ უშედეგოდ — ქალი აცხადებს, რომ საქმრომ იცრუა საკუთარი განათლების თაობაზე, ჩემს კითხვას კი ნებისმიერი პირველკლასელი უპასუხებდაო. სამართალდამცველებმა ოჯახებს შორის მომრგებლის როლი შეასრულა და მხარეებმა ყველა საჩუქარი და სამკაული დაუბრუნეს.

დედას აიფონის გამო კლავდა

აშშ-ში, კოლორადოს შტატში, სამართალდამცავებმა მოზარდს დედის მკვლელობის ბრალდება წაუყენეს. როგორ ცნობილი გახდა, 12 წლის გოგონა, ერთი კვირის განმავლობაში, ორჯერ შეეცადა დედის მოწამვლას. როგორც ადგილობრივი პრესა წერს, პირველად ქალიშვილმა დედას საუზმეზე რძის კოქტეილი მოუმზადა და მასში მათეთრებელი შეურია. ქალმა სასმელის არაბუნებრივი გემო შენიშნა, მაგრამ იფიქრა, რომ შვილმა ჭიქა კარგად ვერ გარეცხა. მეორე დღეს მოზარდმა მათეთრებელი დოქში ჩაყარა, რომელიც დედას საძინებელში ედგა. მშობელმა მეორედაც იგრძნო ქლორის სუნი და ქალიშვილს გამოკითხვა დაუწყო — მან აღიარა, რომ დედის მოკვლა უნდოდა, რადგან „აიფონი“ ჩამოართვა. ქალმა ყველაფერი სამართალდამცავებს უამბო, პოლიციამ გოგონა დააპატიმრა და არასრულწლოვანთა დაკავების ცენტრში გადაიყვანა. უცნობია, რის გამო დატოვა დედამ ქალიშვილი „აიფონის“ გარეშე.

საბავშვო ბაღი უფროსებისთვის

ნიუ-იორკში, ბრუკლინში საბავშვო ბაღი გაიხსნა უფროსებისთვის, რომელთაც სურთ, თავი პატარად იგრძნონ. ამ მომენტისთვის ბაღის ჯგუფში მხოლოდ ექვსი ადამიანია, რომელთა დღის წესრიგი სხვადასხვა თამაშის, ხატვისა და ძერწვისთვის გამოყოფილი დროისგან შედგება. ამ „ბავშვებისთვის“ გათვალისწინებულია „წყნარი საათიც“. გარდა ამისა, საბავშვო ბაღში აქვთ მშობელთა კრებაც, რომელზეც ყოველმა აღსაზრდელმა ორი უფროსი ადამიანი უნდა მიიყვანოს. ამ დაწესებულებაში გატარებული დროის საფასური კი კლიენტების ფინანსური მდგომარეობის მიხედვით განისაზღვრება — 333-დან 999 დოლარამდე. დიდების ბაღის დამფუძნებლის თქმით, ამ დაწესებულების გახსნის იდეა იმაში მდგომარეობს, რომ უფროსებმა შეძლონ, დროებით „თავისუფლებაზე“ გამოუშვან მათში არსებული ბავშვი. ვარაუდობენ, რომ ბაღში სიარულის შემდეგ ნიუიორკელები ცხოვრებას მარტივად შეხედავენ, უფრო თავდაჯერებულები გახდებიან და უბრალოდ, გარკვეულ დროს მხიარულად გაატარებენ.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

8	4	2	5	3	9	6	1	7
3	7	1	6	8	4	5	2	9
9	6	5	2	1	7	8	3	4
2	3	4	1	6	8	9	7	5
7	1	9	4	5	3	2	8	6
6	5	8	9	7	2	3	4	1
4	2	7	8	9	6	1	5	3
1	9	3	7	2	5	4	6	8
5	8	6	3	4	1	7	9	2

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

7	1	2	9	6	3	4	8	5
4	9	8	5	2	7	3	1	6
6	5	3	8	4	1	7	2	9
9	8	6	2	3	5	1	4	7
5	7	4	1	9	8	6	3	2
2	3	1	6	7	4	9	5	8
8	4	9	7	1	2	5	6	3
3	6	5	4	8	9	2	7	1
1	2	7	3	5	6	8	9	4

ᲠᲗᲣᲚᲘ

6	8	2	5	7	4	3	9	1
5	4	1	9	6	3	2	8	7
9	7	3	1	2	8	4	5	6
4	1	9	8	5	7	6	3	2
3	2	6	4	1	9	8	7	5
8	5	7	6	3	2	1	4	9
2	3	5	7	4	6	9	1	8
7	6	8	3	9	1	5	2	4
1	9	4	2	8	5	7	6	3

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

1	9	8	3	4	7	6	2	5
7	5	6	2	1	9	8	4	3
4	3	2	8	6	5	7	1	9
6	4	5	1	8	3	9	7	2
3	2	1	7	9	6	5	8	4
8	7	9	5	2	4	3	6	1
5	6	7	4	3	1	2	9	8
2	1	3	9	7	8	4	5	6
9	8	4	6	5	2	1	3	7

მე-12 გვერდი: 1. პანეგირიკი; 2. პოპური; 3. პიპეტი; 4. ნარინი; 5. გრეი; 6. პომიდორი; 7. პულოვერი; 8. რახი; 9. ოფურო; 10. ენოტი; 11. ევროპა; 12. აკონკაგუა; 13. მოლოხი; 14. „იდომენეი“; 15. ამბროსია; 16. ანეტო; 17. მწდე; 18. დევი; 19. ფინიკი; 20. იაგო; 21. აირონსი; 22. რომი; 23. „რერო“; 24. რუტინა; 25. აჩუ; 26. ჩაფი; 27. აკაკი; 28. სკა; 29. სენეკა; 30. სირია; 31. იაკი; 32. „გარაჟი“; 33. ჩიკ კორია; 34. ფემინიზმი; 35. ფრუ; 36. ჩოგორი; 37. ნეი; 38. რუბრიკა; 39. კამიკაძე; 40. არაუკარია; 41. ნივა; 42. ნარი; 43. სალბი; 44. ნუნუ; 45. კალა; 46. ვალეტი; 47. ლირი; 48. კონაკრი; 49.. ირი; 50. მაკინტოში; 51. იაბო; 52. არი; 53. რაზა; 54. კარე; 55. იმპორტი; 56. მუნ; 57. სეტი; 58. ძაბრი; 59. ატამი; 60. ინარი; 61. მარაო; 62. კისა; 63. საკინძე; 64. ამინ; 65. ნოე; 66. მოირა; 67. სამაია; 68. აირი; 69. სერა; 70. ირაო; 71. მის; 72. ანტანტა; 73. ბოა; 74. არინა; 75. ტოროლა; 76. მარმარილო; 77. მამაი; 78. რემარკა; 79. რქა; 80. მარო; 81. ილი; 82. ოდა; 83. ლაზი; 84. ალამი; 85. სიმი; 86. ტრიო.

ახალი ტესტი კიბოს ადრეულ სტადიაზე დაადგენს

ვისაც ონკოლოგიური დაავადების განვითარების საფრთხე ემუქრება, უფრო მოკლე ტელომერები (ქრომოსომების დაბოლოებები, რომლებიც იცავს დნმ-ს) აქვთ, ვიდრე მათ, ვინც ამ საშინელი დაავადებისგან უფრო დაცულია. მეცნიერებმა ახალი ტესტი შეიმუშავეს, რომელიც თითქმის 100%-იანი სიზუსტით, დაავადებამდე 13 წლით ადრე ადგენს ორგანიზმში სიმსივნური წარმონაქმნის განვითარების ალბათობას — ათნლეულით ადრე ორგანიზმში კიბოს მიერ გამოწვეული უმცირესი, მაგრამ მეცნიერებისთვის შესამჩნევი ცვლილებები იწყება. ჰარვარდისა და ჩრდილო-დასავლეთის უნივერსიტეტების სწავლულთა კვლევებმა ცხადყო, რომ იმ ადამიანების ტელომერები, ვისაც მომავალში სიმსივნე განუვითარდება, 15 წლით ასაკოვანისას ჰგავს. ქრომოსომების დაბოლოებები წლების განმავლობაში უფრო პატარავდება და დნმ-ი დაუცველი რჩება. მართალია, ადამიანთა ნაწილს არ სურს გაგება, არის თუ არა კიბოს რისკჯგუფში, მაგრამ უმრავლესობას მიაჩნია, რომ დაავადების შესახებ წინასწარ ცოდნა მათ მომავალს დაიცავს და უსაფრთხოს გახდის.

1. უგულებელყოფა
2. მოზრდილი მაღალფეხიანი სასმისი
3. საქონლის საკვები ბალახი
4. ბამბის წმინდა ქსოვილი
5. ტანზე მჭიდროდ მომდგარი შარვალი
6. ქალის იაფფასიანი სამკაულები
7. არაკეთილხმოვანება
8.მდინარე რუსეთის ციმბირულ ნაწილში
9. ოზურგეთის საბჭოური სახელწოდება
10. წყვეტილი ხაზი
11. იუპიტერის მეუღლე
12.მსხვილი ტყვია დათვზე სანადიროდ
13. აშშ-ის შტატი
14. მოკლე სატირული ლექსი
15. მოკლე და მსხვილი ჯოხი მიწაში ჩასარჭობად
16. მოზამბიკის დედაქალაქი
17. ჯავშნიანი რეპტილია
18. ძძიმე ინფექციური დაავადება
19. სმენის არმქონე
20.მემკვიდრეობის ფუნქციური ერთეული
21. ქალაქი იმერეთის მხარეში
22. სასულთნო აზიაში
23. დიდი იტალიელი ფერმწერი
24.ინგლისის საფეხბურთო ნაკრების კაპიტანი
25. პოეტური გამოცანა
26. უშედეგო, ფუჭი
27. ცეცხლის მნათი ნაწილი
28. სითხის გამოსახდელი ლაბორატორიული ჭურჭელი
29. ამერიკელი კინომსახიობი
30. ამერიკელი მწერალი აიზეკ ...
31. ირაკლი ჩარკვიანის სასცენო ფსევდონიმი
32. დედალოსის ურჩი ვაჟი
33. დედამიწის „სახურავი“
34.ქიმიური ელემენტი, ლითონი
35. ვენერიული დაავადება, ათაშანგი
36. მტაცებელი ფრინველი
37.ფინეთის თვითსახელწოდება
38.პლატონ სამანიშვილის მამა
39.გოგირ-დისთავიანი ჩხირი ცეცხლის ასანთებად
40. მუქი ლურჯი საღებავი ნივთიერება
41. ჰომეროსის პოემა
42. ბერძნული ანბანის III ასო
43.პლანეტა მარსის თანამგზავრი
44. „გამზრდელის“ პერსონაჟი
45.უმაღლესი პილოტაჟის ერთ-ერთი ფიგურა
46. პატარა მდინარე
47. დაუშლელი გამოთქმა ამა თუ იმ ენაში
48. ბალეტ „ჟიზელის“ ავტორი
49. პოეზიის ჟანრი
50. თავისუფალი ფორმის ნარკვევი
51. ორმოცდათი - ძველ ქართულში
52. ქართველთა მამული საფრანგეთში
53. ფეთქებადი ნივთიერება
54.ვერდის ოპერა
55. ჯეკ ლონდონის „მარტინ ...“
56. ჭადრაკის ფიგურა
57. უდანაშაულობის დამამტკიცებელი საბუთი
58. დიდი ზომის მღრღნელი
59. ინდონეზიის კუნძული
60. ჩინური ჭინჭარი
61. სახ. საღებავის სახეობა
62.ყურძენ იზაბელას ხალხური სახელწოდება
63. დიდი ადმინისტრაციულტერიტორიული ერთეული
64. ძაღლის ჯიში
65. პუშკინის „ევგენი ...“
66. მილა იოვოვიჩის ცნობილი კინოროლი
67. ძირითადი აზრი, რაობა
68. უმცირესი სამნიშნა რიცხვი
69. სოფელი ყვარელის რაიონში
70. ტბა ჩრდილოეთ ამერიკაში
71. კოლხეთის უძველესი სახელწოდება
72.კავალერთან მოცეკ. ქალი
73.ერთგვარი შალაშინი
74.ფიურერის შესატყვისი სიტყვა იტალიაში
75. უხეში მიტკალი
76. პარკოსანი მცენარე
77. ცხენირემი
78. სამი წერტილი კამათელზე
79. იაპონური თეატრის სახეობა
80. ავსტრალიის დედაქალაქი
81. სამეურნეო მუშაკი
82. ბალნეოლოგიური კურორტი ჩრდილოეთ კავკასიაში
83. თეთრი დიდი ნიშა-ნისარის შუბლზე
84. თემურ ბაბლუანის ფილმი „უძინართა ...“

ყველაზე „უმანკო“ პოლიცია

გაინტერესებთ, სად მსახურობენ ასეთი სამართალდამცავები? სად და, ინდონეზიაში. ამ ქვეყანაში სუსტი სქესის წარმომადგენელი, თუკი პოლიციაში სამსახური სურს, ქალწული უნდა იყოს, — ამ ამბავს საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაცია human rights watch ახმაურებს. ინდონეზიაში პოლიციელობის მსურველი მანდილოსანი შემდეგ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს: ასაკი 17,5-დან 22 წლამდე, სიმაღლე — 165 სმ, შესანიშნავი მხედველობა, რელიგიურობა და უბიწოება. როგორც ერთ-ერთი ტესტგავლილი გოგონა ამბობს, ეს მეტად დამამცირებელი პროცედურაა, მაგრამ უარი რომ ეთქვა, პოლიციელი ვერ გახდებოდა. კანდიდატებს აიძულებენ, ერთმანეთის თვალწინ გაშიშვლდნენ და გინეკოლოგიური შემოწმება გაიარონ.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, გიორგი იაშვილი, მარიკა ლომიძე, ნინი ჯაფარიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.